# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge





იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცბიერებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 26 მარტი. 2016 წ. №56 (7948), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.



## ინესა მერაბიშვილი: აკადემიურ საბჭოს გადადგომისკენ მოვუწოდებ!

4

## უნივერსიტეტისთვის ბოძებული ავტონომია ბატონყმობის ინსტიტუტად რად აქციეთ?!

როსტომ ჩხეიძემ დაასრულა ახალი, რიგით მე-19 ბიოგრაფიული რომანი ამჟამად სოლომონ დოდაშვილზე „მისიონერი“. გთავაზობთ წინათქმას ამ რომანიდან.



## დროშა – მემკვიდრეობით გადმოცემული

6

## ნინო ბურჯანაძე: როდესაც ადამიანებზე კომპრომატი არსებობს, ასეთი ადამიანის ადგილი პოლიტიკაში და, მით უმეტეს, მაღალ თანამდებობაზე არ არის!



2

## ოთხწლიანი პაუზის შემდეგ ქართველები და აფხაზები ერთმანეთს შეხვდებიან

8





7

## დღეგრძელობა თითოეულისთვის ხელმისაწვდომია ...

## სიახალგაზრდავის რეცეპტები

ოლიმპიური ჩემპიონი



## ავთანდილ ქორიძე სპორტშიც და ცხოვრებაშიც რაინდი იყო

9

# „ცრუსთავი-2“-ო, სარკეში ერთხელაც არ ჩაგიხედავს?

## ამორალურს, თავი რომც უპატიოსნესად მოეჩვენოს, აქვს კი სხვათათვის მორალის კითხვის უფლება?

**იმთავითვე მწამდა და მწამს – აუცილებელია, რომ მავანს რაიმე მაღალი თანამდებობის დაკავებისას მარტოოდენ სათანადო ბრძანება კი არ ამტკიცებდეს და უმაგრებდეს ზურგს, არამედ, თავისი განვლილი გზითა და ცხოვრებისეული მრწამსით, იქ მუშაობის მორალური უფლებაც უნდა ჰქონდეს.**

**ეს უკანასკნელი კი თუნდაც იმისთვის არის საჭირო, რომ, მერე, მუშაობისას, თუ ეს აუცილებელი გახდა, სხვათათვის მორალის წაკითხვის უფლება ჰ ქონდეს. თანაც ისე, რომ მის ზურგს უკან ქირქილი არ დაიწყონ – ამას რა აქვს სალაპარაკო, რა უნდა გვასწავლოსო!**

პირადად მე ასეთი კითხვის დასმის სურვილი მიჩნდება მუდამ, როდესაც განაცმოძრაობის მიერ მართულ-მომართული „ცრუსთავი-2“ მორალის კითხვას იწყებს. მიჩნდება, მაგრამ როგორ ვკითხო ეს. უსულო ტელეკომპანიას?

ამიტომ, პატივცემულო მკითხველო, თქვენი თანხმობით, დროებით გავაცოცხლებ „გავაადამიანურებ“ მას (ცხადია, ვირტუალურად, თორემ სხვაგვარად, რამდენიც არ უნდა ეცადო, მას, ამ ეტაპზე მაინც, ადამიანურობისა ვერაფერს ვერანაირად ვერ წასცხებ!) და ვკითხავ:

**– შენ, ყმაწვილო, ყველას ერთთავად რომ მოძღვრავ და მორალს უკითხავ, ერთხელ მაინც არ ჩაგიხედავს სარკეში და არ დაინტერესებულხარ, გაქვს თუ არა ამისი მორალური უფლება?**

**– გაქვს? შენი განვლილი გზით და შენივე ამჟამინდელი პოზიცია-მრწამსის სისწორითაც?**

მაშინ, მოდი, განვლილი გზის სისწორის ზოგადი განსჯით დავიწყოთ. თუმცა მანამდე შენი „ნათლია“ მინდა გაგაცნო. ეს თიკუნი – „ცრუსთავი-2“ – ძალიან მორგებულად დაგარქვა ჩემმა კოლეგამ და მეგობარმა, კარგმა პიროვნებამ და კარგმავე ჟურნალისტ-პუბლიცისტმა სოსო ჭუმბურიძემ, რომლის თავაზიანი თანხმობითაც ვიყენებ ხოლმე მას.



მაგრამ აი, **გამარჯვებული ხალხის ტელევიზია** ვარო, რომ ამბობდი, ეს ტიტული მე „ჩამოგართვი“ და მის ნაცვლად **ხალხზე გამარჯვებული ტელევიზია** დაგარქვი.

იხ. 3 გვ.

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!

# ნინო ბურჯანაძე: როდესაც ადამიანებზე კომპრომატი არსებობს, ასეთი ადამიანის ადგილი პოლიტიკაში და მით უმეტეს მაღალ თანამდებობაზე არ არის!



„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე იზიარებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრის თამაზ მეჭიაურის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ უნდა დატოვონ თანამდებობები იმ პირებმა, ვისაც ფარული კადრების გავრცელებით ემუქრებიან.

**„ბუნებრივია, როდესაც ადამიანებზე კომპრომატი არსებობს, რა თქმა უნდა, ასეთი ადამიანის ადგილი პოლიტიკაში და მით უმეტეს მაღალ თანამდებობაზე არ არის. იმიტომ, რომ კომპრომატი ყოველთვის არის ის საშუალება, როდესაც ადამიანს შეიძლება მიაღებინო ქვეყნისათვის საზიანო და არასასურველი გადაწყვეტილება“,** — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

**„იმისათვის, რომ არავინ არასოდეს მსგავსი რამ არ ჩაიდინოს, ამისათვის საჭიროა, რომ ქვეყანაში იყოს სამართლებრივი სახელმწიფო. ყველამ იცოდეს უკანონო ბრძანების გაცემაც და უკანონო ბრძანების შესრულებაც ისჯება. ეს რომ გაეკეთებინა „ქართულ ოცნებას“ და ნაციონალური მოძრაობა განსასჯელის სკამზე დაესვა, ჩვენ ამ კადრების მომსწრენიც არ ვიქნებოდით“,** — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, ფარული თვალთვალის შესახებ ინფორმაცია ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს არათუ ჰქონდა, არამედ თავად მისი წახალისებით ხდებოდა ეს ყველაფერი.

რაც შეეხება საკითხს, თუ ვის უნდა აწყობდეს დღეს ამ კადრების გავრცელება, ბურჯანაძე ამბობს, რომ ბევრი ვერსია აქვს და მათ შორის დღევანდელი ხელისუფლებაცაა.

**„დღევანდელი ხელისუფლება არ არის ერთიანი გუნდი, რომელსაც ერთმანეთზე გული შესტკივა. პირიქით, ეს არის გუნდი, რომელიც სწორედ, რომ ურთიერთდაპირისპირებულია ერთმანეთთან. ასე რომ, გამორიცხული არაფერია, თუმცა ეს არის ერთ-ერთი ვერსია, რომელსაც არსებობის უფლება აქვს, ისევე როგორც იმას, რომ შესაძლოა, სრულიად განსხვავებული ძალები იყვნენ ამ ყველაფრის უკან. ეს ვერსია მოვიყვანე მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ არ ყოფილიყო საზოგადოება იმის მომსწრე, რისი მომსწრენიც გავხდით. რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში ხელისუფლებას ეკისრება პასუხისმგებლობა ყველაფერ იმაზე, რაც ხდება ქვეყანაში“.**

ამ შემთხვევაში გამოცდილი პოლიტიკოსი ნინო ბურჯანაძე სიმართლეს ლაპარაკობს და რედაქცია მთლიანად უჭერს მას მხარს!

# აღსრულების ბიურო არავის ემუქრება, ერიდეთ თაღლითთა ზარებს!!!

აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე იოსებ ბაღათურია აღსრულების ეროვნული ბიუროსა და აღმასრულებლების სახელით მუქარის შემცველი ზარებისა და შეტყობინებების შესახებ განცხადებას ავრცელებს.

**„ბოლო პერიოდის განმავლობაში გახშირდა კერძო პირებისა თუ კომპანიების მიერ აღსრულების ეროვნული ბიუროს ან აღმასრულებლების სახელით მუქარის შემცველი ზარების ან მობილური შეტყობინებების გაგზავნა მოქალაქეებისთვის, რომელთაც აქვთ გარკვეული სახის ფინანსური ვალდებულებები.**



**მინდა ერთმნიშვნელოვნად აღვნიშნო, რომ მსგავსი შინაარსის ქმედებები არ ხორციელდება ბიუროს მხრიდან, რომელსაც უკვე მეოთხე წელია, აღსრულების პროცესისადმი სხვა, მხარეების მორიგებაზე ორიენტირებული პოლიტიკა აქვს. ეს ზარები, სამწუხაროდ, ხორციელდება კერძო პირებისა და ზოგიერთი კომპანიის მიერ, რა დროსაც, მეტი დამაჯერებლობისთვის, ხდება აღსრულების ეროვნული ბიუროს სახელის გამოყენება. თითოეულმა მოქალაქემ, რომლის მიმართ განხორციელდება აღსრულების ეროვნული ბიუროს სახელით მუქარის შემცველი ზარები ან შეტყობინებები, უნდა მიმართოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს შიდა ინსპექტირების სამსახურს. ასეთი ქმედებების მიმართ აუცილებლად მოვახდენთ ადეკვატურ და დროულ რეაგირებას. აქვე, ყველას შევახსენებთ, რომ ამგვარი ქმედებებისა და მოქალაქეთა შევიწროებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებულია შესაბამისი სანქციებიც.**

**იძულებითი აღსრულების ფარგლებში სხვის საკუთრებაში შესვლას, ქონების დაყადაღებას, აღწერას და სხვა იძულებით ღონისძიებებს აქვს თავისი ფორმები და ის რეგულირდება კანონით სააღსრულებო წარმოებათა შესახებ, სხვა პირს, სხვა სუბიექტს არ აქვს მსგავსი ქმედების განხორციელების უფლება. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ, ბოლო სამნახევარი წლის განმავლობაში, არ განხორციელებულა მოქალაქის შემავიწროებელი არც ერთი ქმედება, პირიქით, ჩვენ მხარეთა მორიგებაზე ორიენტირებული უწყება გავხდით. ყველაზე რთული გამოსახლებებიც კი მხარეებთან კონსენსუსის მიღწევის მცდელობისა და ადამიანის უფლებების დაცვის შედეგად განგვიხორციელებია.**

**მოვუწოდებ მოქალაქეებს, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს სახელით მუქარანარევი ზარების ან შეტყობინებების მიღების შემთხვევაში, მოახდინონ აღსრულების ეროვნული ბიუროს სწორი და დროული ინფორმირება. ბიუროში მოქმედებს ცხელი ხაზი, ასევე შექმნილია სპეციალური ელექტრონული ფოსტა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მოხდეს თითოეული შემთხვევის შესახებ ბიუროსთვის ინფორმაციის მიწოდება“.**

**ცხელი ხაზის ნომერია: (032) 2749649. E-mail: report@nbe.gov.ge**

# აუდიტის სამსახური: „ბაგა-ბაღებმა კვებისთვის მოთხოვნილი თანხები სხვა მიმართულებით გახარჯეს“

**თბილისის რამდენიმე ბაგა-ბაღის გათავისუფლებული დირექტორების და მშობლების საპროტესტო აქცია გუშინ**




**დედაქალაქის მერიასთან გაიმართა. თუმცა მუნიციპალიტეტიდან მათ არავინ გამოხმაურებია.**

**თემურ თორდინავა** — ბაღების სააგენტოს დირექტორი: **„ყველა დირექტორი, რომელიც გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, გათავისუფლდა მონიტორინგისა და აუდიტის საქალაქო სამსახურის დასკვნისა და სააგენტოს მონიტორინგის დასკვნის საფუძველზე, ანუ არც ერთი დირექტორი არ გათავისუფლებულა და არ გათავისუფლდება პოლიტიკური ნიშნით“.**

**ზურაბ აზნაურაშვილი** — სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის უფროსი:

**„აღნიშნული ბაგა-ბაღების მიერ მოთხოვნილი იყო გაზრდილი ვაუჩერის ფარგლებში თანხები კვებისთვის, რომლებიც შემდეგ გადატანილი იქნა სხვა მიმართულებით და გახარჯულია სხვა ხარჯების ნაწილში. აღნიშნული არ იყო შეთანხმებული სააგენტოსთან. აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის განკარგულებით დამტკიცებულია ბაღების დაფინანსების ვაუჩერული წესი, რომელიც გაზრდილი ვაუჩერის შემთხვევაში ითვალისწინებს დასაბუთებულ მოთხოვნას, რომელიც არ შესრულდა აღნიშნული ბაგა-ბაღების მიერ“.**

# მსოფლიო ბანკმა საქართველოსთვის 40 მილიონი დოლარის სესხი დაამტკიცა

**საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა საქართველოს მთავრობას, დაახლოებით, 135 მლნ ევროს სესხს და 5 მლნ ევროს გრანტს გამოუყოფს.** პრემიერ-მინისტრის განმარტებით, თანხა მოხმარდება საინვესტიციო პროექტებს ენერგეტიკის, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის და სოფლის მეურნეობის მიმართულებით.

**„გარდა ამისა, დაფინანსდება ჩვენთვის ისეთი პრიორიტეტული მიმართულებები, როგორიცაა პროფესიული განათლება, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, მეტროლოგია, გარემოს დაცვა და ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება,“** — აღნიშნა პრემიერმა მთავრობის სხდომაზე.

მისივე თქმით, მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტისთვის 40 მილიონი დოლარის სესხი დაუმტკიცა.

# „შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის“ კურსი დასრულდა

**ტრენინგი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის 2016 წლის თანამშრომლობის სამუშაო გეგმის ფარგლებში ჩატარდა.** სასწავლო კურსს უშიშროებისა და სამხედ-



რო ძალებთან მუშაობის დარგში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის რეგიონული ექსპერტი სამხრეთ კავკასიაში გია თორაძე უძღვებოდა.

„შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის“ საფუძვლები გენერალური შტაბის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის იმ ოფიცრებმა შეისწავლეს, რომლებიც საბრძოლო და სამშვიდობო ოპერაციების დაგეგმარების პროცესში არიან ჩართულები. მოგვიანებით, კურსდამთავრებულები მსგავს ტრენინგებს სამხედრო ქვედანაყოფებში ჩაატარებენ.

ხუთი დღის განმავლობაში სამხედრო ინსტრუქტორებმა სამოქალაქო მოსახლეობასთან მოქცევის, სამხედრო ტყვეებთან დამოკიდებულების და ბრძოლის დროს იარაღის გამოყენების წესების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია და რეკომენდაციები მოისმინეს. ყურადღება გამახვილდა ასევე, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მუშაობის პრინციპზე და საომარი მოქმედებების რაიონში დაშვების საკითხზე.

# ლეონიდ ჩერნოვეცკი: ჩემი შანტაჟი საქართველოში შეუძლებელია

**მოძრაობა „ბედნიერი საქართველოსთვის“ პრესსამსახური ავრცელებს მოძრაობის ლიდერის ლეონიდ ჩერნოვეცკის კომენტარს გაზეთ „ქობულეთი ნიუსის“ მიერ დასმულ კითხვასთან დაკავშირებით.**

გაზეთ „ქობულეთი ნიუსის“ კითხვაზე, რომ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ლეონიდ ჩერნოვეცკი შეხვდა ბიძინა ივანიშვილს, შეხვედრისას ბიძინა ივანიშვილმა მოითხოვა ჩერნოვეცკისგან, რომ მასთან შეუთანხმებლად არავინ შეეყვანა პოლიტიკური მოძრაობის სიაში, ასევე არ გადაედგა არც ერთი დამოუკიდებელი ნაბიჯი, და რომ გვაცნობეს, ამის შემდეგ ჩერნოვეცკიმ დატოვა საქართველო და ოჯახთან ერთად გადავიდა საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში, ლეონიდ ჩერნოვეცკი პასუხობს:

**„მე უკვე დიდი ხანია, არავის შევხვედრივარ. ჩემი შანტაჟი საქართველოში შეუძლებელია: მე არ მაქვს არც ბიზნესი, არც ისეთ საკითხებში ვარ ჩაბმული, რომლის გამოც დამოკიდებული ვიქნები მთავრობაზე ან სპეცსამსახურებზე! და მე არ ვფიქრობ, რომ ასეთი რამ დღეს საქართველოში შეიძლება მოხდეს. მთავარი კი ის არის, რომ ჩემი ბუნებით მე შანტაჟს არ ვექვემდებარები! ამ მხრივ რთული ხასიათი მაქვს!**

**ახლა მე 8 დღით ევროპაში ვიმყოფები ჩემს მეუღლესთან ერთად: ხერხემალს ვმკურნალობ, რათა პარლამენტში მოსვლის შემდეგ ასეთი საკითხები აღარ მაწუხებდეს და არ მომიხდეს რომელიმე პლენარული სხდომის გამოტოვება. მალე დავბრუნდები და იმედია, არჩევნებამდე არსად წასვლა არ მომიწევს! წარმატებებს ვუსურვებ თქვენს მკითხველებს!“.**



(პირველი გვერდიდან)

ახლა კი მთავარი სათქმელი ვთქვათ:

ორიათასიანი წლების დასაწყისში, ბიუჯეტის დიდძალი ვალი რომ დაგიგროვდა, რის გადახდაზე არც ფიქრობდი და ამის გამო ძალოვანი უწყების წარმომადგენლები მოგადგნენ, იმდენი მოახერხე, რომ გადასახადის გადახდისგან თავის ამრიდებლის ნაცვლად სიმართლისა და მართალი სიტყვის გამო დევნილ-წამებულად წარმოიჩინე თავი. დიდძალი ხალხიც აიყოლიე და მათ შენი მხარდასაჭერი მიტინგებიც გაამართვინე, მაგრამ ეს მაინც ვერ გიშველიდა, რომ არა 2003-ის მიწურულს ხელისუფლების შეცვლა.

**— ჩვენი ხელისუფლების პირობებში არც ერთი ტელეკომპანია არ დაიხურებაო,** — თქვა მაშინ სააკაშვილმა.

თქვა და შეასრულა კიდეც ნათქვამი — რამდენიმე მილიონი ლარის დავალიანება ჩამოგაწერა. რა თქმა უნდა, ბიუჯეტის ხარჯზე (სულ კი, განაცმოძრაობის ცხრაწლიანი ზეობის პერიოდში, 34 მილიონ ლარზე მეტი თანხა გაქვს საჩუქრად მიღებული ბიუჯეტიდან, ანუ ხალხის ჯიბიდან!).

**მაგრამ მთავარი დანაპირები — ჩემს ხელში არც ერთი ტელევიზია არ დაიხურებაო, დაავიწყდა კი არა, მის შესრულბაზე არც უფიქრია. მას მხოლოდ შენ სჭირდებოდი ყურმოჭრილ მონად და რუპორად.**

სხვები კი ჭირსაც წაუღიაო და, მიადგა კიდეც სპეცდანიშნულების რაზმებით.

**თავდაპირველად „იბერიას“ მიუხტა, სადაც, სხვათა შორის, გეხსომება, გასროლილმა ტყვიამ გაზსადენი რკინის მილიც გახვრიტა.**

**მერე იყო „მზე“, „მეცხრე არხი“, „იმედი“... ყველა არხზე დაიხურა ყველა რეიტინგული თოქშოუ. მათ შორის, შენი „60 წუთიც“ (ანკი უკვე რად სჭირდებოდა იგი სააკაშვილს, საკუთარ თავს და მთლიანად განაცმოძრაობას ხომ არ გაგაკრიტიკებინებდა?!).**

ჰოდა, ასე გრიალებდი 9 წელიწადი. საკუთარი თავის ყველაზე დემოკრატიულ, მართალ, პრინციპულ და ობიექტურ ტელეკომპანიად მომნათვლელი, შენი მმართველ-პატრონი განაცმოძრაობის ხარჯზე კარგად ცხოვრობდი. ხალხისთვის კი „ცრუსთავორობდი“.

განაცმოძრაობის ზეობისას ბიუჯეტიდან რამდენიც შეიტყაპუნე, მიახლოებით მაინც ვიცით. იმასაც ვხედავთ, სახელისუფლებო სარბიელიდან მისი წაშავების შემდეგაც რომ არ გაშავებულ-ჩაბნელებულა შენი ფინანსური კეთილდღეობა და კვლავაც ხელგაშლილად ცხოვრობ: მასმედიის სხვა წარმომადგენლებს, ძირითადად ბეჭდვური მედიისას, უსახსრობის გამო საქართველოს ცალკეულ რეგიონებშიც რომ უჭირთ ხოლმე საკუთარი თანამშრომლების მივლინებით გაგზავნა, შენი წარგზავნილები მსოფლიოს ფაქტობრივად არც ერთ კონტინენტზე არ აკლდებიან რაიმე მნიშვნელოვან ღონისძიებებს.

**საიდან? იქიდან, რომ კვლავ განაცმოძრაობა გაფინანსებს თავის დროზე ისევ ჩვენი ხალხისთვის წაგლეჯილი და მერე ოფშორულ ზონებში გახსნილი ანგარიშებიდან შენთვის გადმორიცხული თანხებით.**

— რაო? პატიოსანი შრომით, მხოლოდ შენ მიერვე მოპოვებული სარეკლამო განცხადება-გადაცემისთვის გადახდილი შემოსავლებით ცხოვრობ?

# „ცრუსთავი-2“-ო, სარკეში ერთხელაც არ ჩაგიხედავს?




ისემც რა გითხარი!

**მაშინ იქნებ გაგვიმხილო, რამდენია ეს შემოსავალი და რამდენი ლარი აქვთ თვეში ხელფასად შენს გენდირექტორს, მის მოადგილეებს, თოქშოუების წამყვანებს და, საერთოდ, წამყვან მუშაკებს?**

იქნებ ისიც გვითხრა, თავისთვის და თავისი თანამოაზრე თანამშრომლებისთვის ხელფას-პრემიებად საკმაოზე მეტად „მრგვალი“ თანხების გაცემის შემდეგ, **როგორ მიეცა თქვენს გენდირექტორს იმის მატერიალური საშუალება (მორალურ უფლებაზე არაფერს ვამბობ), რომ ცალკერძ თავად მართავდეს ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული ჯიპის საჭეს, რომელიც შენს ბალანსზე ირიცხება, ანუ განაცმოძრაობის მიერ ხალხისთვის თავის დროზე წაგლეჯილი და შენთვის გადმორიცხული ფულით შევსებული შენივე ბიუჯეტიდანაა გადახდილი, და ცალკერძ, როგორც საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, ისეთსავე ჯიპს იმის მეუღლეც ატარებს?**

და ამის შემდეგ სხვებს უნდა დასდევდე, იმათს პრემია-დანამატებს, სატრანსპორტო თუ სხვა საშუალებების შესაძენად გაწეულ ხარჯებს ითვლიდე და ამის გამო კიცხავდე?

**განა იმას იმიტომ ვამბობ, რომ ამისი უფლება არა აქვს ან, მით უფრო, ამას არ უნდა აკეთებდე.**

**როგორ გეკადრება, ეს მარტო კარგი კი არა, საჭიროც არის, მავანთა შესაჯანჯღარებულ-გამოსაფხიზლებლად, მაგრამ მთავარია, პირადად შენ რამდენად გაქვს ამისი იურიდიული კი არა, მორალური უფლება?!** მით უფრო, საქართველოში, სადაც ოდითგანვე დაწერილზე მეტად ხშირად დაუწერელი კანონი უფრო ჭრიდა და ჭრის სწორედ ქართველი კაცის მენტალობის, ზოგადად მორალისა და მორალურობისადმი მისი დამოკიდებულების გათვალისწინებით?

ეჰ, რამდენი კონკრეტული ფაქტისა თუ მაგალითის მოყვანა შეიძლება შენი ამორალურობის (ძირითადად გადაცემების ხარისხსა და მიმართულებას, შენი პოზიციისა და პოლიტიკის მართებულობა-სისწორეს ვგულისხმობ) დასადასტურებლად, მაგრამ აქვს კი ამას აზრი?

**უწინარესად, იმის გათვალისწინებით, რომ ჯერ ერთი, ხალხმა ისედაც ყველაფერი კარგად იცის და, მეორეც, შენნაირი ამორალურის მორჯულების მცდელობა ისეთივე უმადური საქმეა, როგორიც იმ არსების თავზე სახარების კითხვა, ამის მიუხედავად მაინც რომ ტყისკენ იცქირება.**

**თუმცა არსება უძახე შენ და, იგია მთელს ფაუნაში ერთადერთი, რომლის მორჯულება-მოთვინიერება ადამიანმაც ვერ შეძლო და თვით ცხოველთა მეფის მსგავსად თავის ნებაზე ვერ ახტუნავა იგი ცირკის არენაზე.**

**და ეს მხოლოდ იმიტომ იგი ჯიშად მონად კი არ დაბადებულა, არამედ სრული თავისუფლება-დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა მუდამ იყო და არის მისი შინაგანი მოთხოვნილება და ცხოვრების წესი.**

**შენ კი, თუმც ამტკიცებ, ყველაზე დამოუკიდებელი, ყველაზე ობიექტური, სრულიად მიუკერძოებელი, მხოლოდ სამართლის მაძიებელი და მარტოოდენ სიმართლის მსახური ვარო, ისე შეუძვერი განაცმოძრაობას ერთ ადგილას (ვითომ შენდაუნებურად?), ფეხებიც არ გიჩანს გარეთ.**

დიახ, თავ-ფეხიანად.

თავ-ფეხიანობაში მხოლოდ იმას ვგულისხმობ, გენდირექტორით დაწყებული და თუნდაც დამლაგებლით დამთავრებული ყველანი შეხმატკბილებულად მოკალათდით იმის „იმაში“-მეთქი, **თორემ თავსა და ფეხებს შუა არსებულ იმ ერთ ორგანოს, ცხადია, სულაც არ ვგულისხმობ, თქვენმა თავკაცმა ტელევიზიით რომ განაცხადა, პირადი ცხოვრების ინტიმურ მომენტებზე გადაღებული ფარული კადრების ჩვენების მუქარით ვერ დამაშანტაჟებთ, თავიც ჩემია, ფეხებიც და სხვა ორგანოებიცო.**

დიახ, მისია და ღმერთმა, როგორც იტყვიან, მშვიდობაშიც მოახმაროს. მასაც და პედერასტების იმ ჯგროსაც, ლგბტ-ს სხვა წარმომადგენლებთან ერთად, შენი მხარდაჭერითაც რომ გაჯეჯილდნენ ამ ბოლო დროს.

ოღონდ მხოლოდ საკუთარ სახლსა თუ საძინებელში!

**გარეთ, სახალხოდ კი, მეტისმეტად ნუ ათამაშებენ იმ „ერთ ადგილს“, რომელიც პირადად მე, ისევე როგორც, საბედნიეროდ, ჩვენი ღირსეული საზოგადოების უდიდესზე უდიდეს ნაწილს ერთი მამაპაპური პანჩურის ამორტყმისა თუ ცხელი შანთის, უკაცრავად და, შეთხრის ღირსადღა მიგვაჩნია.**

შენს ბევრ სხვა უკეთურობასთან ერთად იმათი მხარდაჭერა-წაქეზებაც არის იმის მიზეზი, რამაც ერთი წვერებიანი ანეკდოტი გამახსენა. გურული ჩიოდა, რა ვქნა, ჩემი ოჯახის წევრების შიშით ტელევიზორი ვერ ჩამირთავსო. რათაო, რომ ჰკითხეს, იმათაო, უპასუხა, — რამდენჯერაც ჩავრთე, იმდენჯერ ბრეჟნევია ეკრანზე გაჩხერილი და სულ აფურთხებენო.

**შენ ერთხელაც არ ჩაგიხედავს სარკეში თუნდაც იმაში დასარწმუნებლად, მეც იგივე ხომ არ მჭირსო?**

თუმცა რომც ჩაგეხედა და იგივე გენახა, დარწმუნებული ვარ, საკუთარ სიმართლეში დაჯერებული, **იმ ერთი ანდაზის გმირივით მოიქცეოდი, რომ აფურთხებდნენ და ის კი არხეინად გაიძახოდა — რა ჟუჟუნა წვიმა მოდისო!**

**კიდევ ერთი ანდაზა მომაგონდა, ჩემდა უნებურად, კუზიანის გასწორებასთან დაკავშირებით, მაგრამ ამისთვის, მერწმუნე, აშკარად არ მემეტები, ღმერთმაც დაგიფაროს!**

**უწინარესად, იმის რწმენა-იმედით, რომ ერთხელაც იქნებ მართლაც გახდები გამარჯვებული ხალხის ტელევიზია, მე კი შენთვის ამის საპირისპიროდ შერქმეული თიკუნის უკან წაღება მომიხდება.**

**მერწმუნე, ამას უდიდესი სიამოვნებით გავაკეთებ, თანაც სახალხოდ, გაზეთის მეშვეობით!**

**რუსლან რუსია**



## „კოდუას საქმე“ — მამალი ნაცის მიუტევებელი ცოდვანი

სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ერეკლე კოდუას საქმესთან დაკავშირებით მთავარი პროკურატურა განცხადებას ავრცელებს:

**„თბილისის საქალაქო სასამართლომ ერეკლე კოდუა დამნაშავედ, ცნო სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ორი ეპიზოდისთვის, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. სასამართლოში ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად უტყუარად დადასტურდა, რომ 2008 წლის 29 აგვისტოს, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორმა ერეკლე კოდუამ, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე დაკავებულ მერაბ რობაქიძეს არასაპატიმრო სასჯელზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ სახელმწიფოსთვის გადასაცემად 90 000 აშშ დოლარად აყიდინა ორი ავტომანქანა, რომელთაგან ერთ-ერთი — 45 000 აშშ დოლარად ღირებული „LEXUS GX 470“ ე. კოდუამ ნაცვლად სახელმწიფოზე გადაცემისა, გააფორმა თავისი შვილის სახელზე. ასევე, 2009 წლის თებერვალში, ერეკლე კოდუამ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე დაკავებული გიორგი გურჩიანისთვის არასაპატიმრო სასჯელზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ, მის ძმას შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისის“ დირექტორს ერეკლე გურჩიანს, გადაახდევინა ე. კოდუას დედის ლაურა ღაჭავას მიერ შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისიდან“ 2008 წელს გამოყვანილი „LEXUS“-ის მარკის ავტომანქანის საფასური 92 000 აშშ დოლარი და დამატებით აყიდვინა 41 500 ლარის ღირებულების „ტოიოტა ჰაი-ლუქსის“ მარკის ავტომანქანა, რომელიც მოგვიანებით გადაფორმდა ე. კოდუას სახელზე. აღნიშნული დანაშაულის ჩადენისთვის პროკურატურამ ე. კოდუას ბრალი საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარუდგინა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული დაუსწრებლად სცნო დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ორი ეპიზოდისთვის. სასჯელის შთანთქმის პრინციპისა და 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ე. კოდუას დანიშნული სასჯელი 2 წელი და 8 თვე შეუმცირდა და საბოლოოდ 2 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. მასვე 2 წლის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში ე. კოდუა გამართლდა. გადაწყვეტილების ამ ნაწილში გასაჩივრების საკითხზე პროკურატურა იმსჯელებს მას შემდეგ, რაც სასამართლოსგან მიიღებს განაჩენს. შეგახსენებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში ამჟამად არსებითად განიხილება ერეკლე კოდუას ბრალდების კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ეხება საქართველოს პარლამენტის წევრ ვალერი გელაშვილზე 2005 წელს მომხდარი შეიარაღებული თავდასხმისა და მისი სასტიკად ცემის ფაქტს. აღნიშნულ საქმეზე ერეკლე კოდუას ბრალი წარდგენილი აქვს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 237-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 10 წლამდე ვადით,** — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განვითარებული მოვლენები კვლავ მასმედიის, სოციალური ქსელისა და ფართო საზოგადოების მსჯელობის საგანია.**

**კანცლერის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში აკადემიურმა საბჭომ ფარული კენჭისყრით აირჩია იოსებ არჩვაძე. მისი კანდიდატურის უნივერსიტეტის სენატში განხილვამდე იოსებ არჩვაძემ უარი განაცხადა თანამდებობის დაკავებაზე (ცალკეულმა პირებმა მას პრეტენზიები წაუყენეს).**

**კანცლერის თანამდებობა ისევ ვაკანტური შეიქმნა. არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით საჭირო იყო ახალი კონკურსის გამოცხადება. ამის ნაცვლად აკადემიურმა საბჭომ უმოკლეს ვადაში კვლავ მოიწვია სხდომა და კენჭი უყარა მის მიერვე იმავე კონკურსის ფარგლებში დაწუნებულ სხვა კანდიდატებს. ხმათა უმრავლესობით ახლა უკვე გაიმარჯვა გიორგი გაფრინდაშვილმა, რომლის კანდიდატურაც წარუდგინეს სენატს. გიორგი გაფრინდაშვილის კანცლერად დანიშვნის საკითხმა გამოიწვია სტუდენტთა აღშფოთება, რასაც გიორგი გაფრინდაშვილის დასაცავად დაუპირისპირდა სტუდენტური თვითმმართველობა. 2016 წლის 10 მარტს ჩანიშნული სენატის სხდომა ჩაიშალა და დაიწყო აურზაური უნივერსიტეტში, რაც გადაიზარდა დიდ მღელვარებასა და სტუდენტთა მრავალდღიან დაპირისპირებაში.**



# ინესა მერაბიშვილი:

# აკადემიურ საბჭოს გადადგომისკენ მოვუწოდებ!

> **ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად...**
>
> **შოთა რუსთაველი**

აკადემიურ საბჭოს მოვუწოდებ გადადგომისკენ არა მხოლოდ იმიტომ, რომ კანცლერის თანამდებობაზე ორივე შემთხვევაში შეირჩა ისეთი პირები, რომელთა მიმართ საბჭოს ფარგლებს გარეთ გამოცხადდა უნდობლობა, გაისმა სერიოზული ბრალდებები და დაიწყო საპროტესტო აქციები, არამედ უპირველესად იმის გამო, რომ აკადემიურმა საბჭომ მოქმედი კანონის საწინააღმდეგოდ უხეშად დაარღვია კონკურსის ჩატარების რეგულაციები და არ მიიღო დროულად მიწოდებული შენიშვნები, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია სასწავლო პროცესის ჩაშლა და უნივერსიტეტში საპატრულო პოლიციის შემოყვანა.

დღეს საბჭოს ზოგიერთი წევრი თავს იმით იმართლებს საჯაროდ, რომ არ არის იურისტი და ვერ ერკვევა ამ საკითხებში. ერთია, რომ უნივერსიტეტს აქვს იურიდიული სამსახური, რომელთანაც საბჭო მუდმივად გადის კონსულტაციას. მეორეა ის, რომ საბჭოში ორ-ორი პროფესორია წარმოდგენილი თითო ფაკულტეტიდან, რაც ნიშნავს იმას, რომ იურიდიულ ფაკულტეტს ორი წარმომადგენელი ჰყავს აკადემიურ საბჭოში. იურისტები არიან სენატშიც, იურისტების ნაკლებობას ზოგადად არც უნივერსიტეტი უჩივის და არც ჩვენი ქვეყანა. ისმის კითხვა: თუ დაეკითხნენ, პირველ რიგში, საბჭოს წევრ იურისტებს? მათაც არ იცოდნენ კანონი და ვერ განმარტეს კონკურსის ჩატარების რეგულაციები, თუ თავად იცოდნენ, მაგრამ საბჭოს წევრებს დაუმალეს? უნივერსიტეტში კონკურსის ჩატარების წესი და კანონი მარტო იურისტებისთვის არ დაწერილა და მისი წაკითხვა და გაგება ევალება ყველას, ვინც ამ წესით უნდა იხელმძღვანელოს. ვურჩევ მათ, თავი შეიკავონ მსგავსი თავის მართლებისგან, რადგან საზოგადოების თვალში ეს იგივეა, რაც მომხმარებელმა პროდუქტზე ან შეფუთულ სურსათზე ინსტრუქცია და ვადები ვერ ამოიკითხოს. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აკადემიური საბჭოს წევრი პროფესორები და აკადემიკოსები ამჯერად ირჩევდნენ კანცლერს – უნივერსიტეტის მეორე პირს, რომელმაც პასუხისმგებლობა თითქმის 30.000-კაციან უნივერსიტეტზე და 70-მილიონიან ბიუჯეტზე უნდა გაინაწილოს.

ამაზე კიდევ უფრო საგანგაშო ისაა, რაც საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა ტელევიზიით გამოგვიცხადა: ერთ-ერთ კონკურსანტს კონკურსის მსვლელობის დროს განცხადებით მიუმართავს უნივერსიტეტისთვის და დებულების თანახმად მოუთხოვია ახალი კონკურსის გამოცხადება. როგორც საბჭოს წევრი აცხადებს, მათ „იმსჯელეს“ ამაზე უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურთან ერთად და გადაწყვიტეს იმავე კონკურსის ფარგლებში მეორე კანდიდატის შერჩევა. საინტერესოა, რომელი მოქმედი დებულებით იხელმძღვანელეს ამ გადაწყვეტილების მიღებისას? **აი, თურმე, როგორ ესმის აკადემიურ საბჭოს უნივერსიტეტის ავტონომია!!! ნუთუ ასეთი რთულია ავტონომიისა და თვითნებობის გამიჯვნა!?**



ახლა ისიც ირკვევა, რომ კონკურსს მონიტორინგს უწევდა ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაცია, რომელმაც ჯერ საბჭოს მიაწოდა თავისი რეკომენდაცია ახალი კონკურსის გამოცხადების აუცილებლობაზე, ხოლო შემდეგ ამ საკითხს სოციალურ ქსელში გამოეხმაურა, სადაც შავით თეთრზე წარმოადგინა კონკურსის ჩატარების ყველა პროცედურა და ამგვარად საჯაროდ დაიდო დასკვნა საბჭოს მიერ დაშვებულ დარღვევაზე. აი, რას წერდნენ ისინი ამ დასკვნის დასასრულ: „უნივერსიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კანონსაწინააღმდეგო და არალეგიტიმურია, რაც პირველ ქართულ უნივერსიტეტში, კანცლერის შერჩევის კონკურსთან დაკავშირებით, არაერთ გაუცემელ კითხვას ბადებს“ (გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 15. 03. 16, გვ. 6).

საბჭომ არც ამას მიაქცია ყურადღება და, ბოდიშის მოხდის ნაცვლად, საზოგადოების დასაბნევად ზოგიერთი კანონის

> **უნივერსიტეტისთვის ბოძებული ავტონომია ბატონყმობის ინსტიტუტად რად აქციეთ?!**

შეცვლაზე დაიწყო საჯაროდ საუბარი. კოლეგებო, თვალში ნაცარს ნუ აყრით ხალხს! ჯერ ის წესები დაიცავით, რაც კანონით გაწერილია. კანონი ხომ ზნეობისა და ლოგიკის ერთობაა. ამდენად, ერთი კანონი რომ მეორეთი შეცვალო, პირველი უნდა იცოდე და გესმოდეს, რომ აღარაფერი ვთქვათ ზნეობასა და ლოგიკაზე. ერთის შეცვლა მეორეთი არაა გამართლებული, როცა პირველს არასწორად იყენებ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეისწავლა რა არსებული ვითარება, უნივერსიტეტს 2016 წლის 16 მარტით დათარიღებული წერილი გამოუგზავნა, სადაც აღნიშნულია, რომ სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა ბათილად სცნო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გიორგი გაფრინდაშვილის არჩევის თაობაზე კონკურსის ჩატარების პროცედურაში დაშვებული დარღვევის გამო (წერილი გასაჯაროებულია).

ნახეთ, როგორ კომიკურად გათამაშდა ბედის ირონია! გიორგი გაფრინდაშვილს გადადგომას ეხვეწებოდნენ დიდი ივანე ჯავახიშვილის წაბაძვით, ის კი მაშინ ჯიუტობდა, როცა საერთოდ კონკურსის მიღმა იყო დარჩენილი.

როგორც ახლა უკვე ნათელია, ეს ამხელა აურზაური ატყდა ძირითადად იმის გამო, რომ არ იყო შექმნილი სამართლებრივად ჯანსაღი გარემო და არ იმუშავა კანონმა და წესმა, რაც რეალურად სამართალზე უმეცრების გაბატონებას ნიშნავდა. ნახეთ, როგორ გაუჭირდა სამართალს: ის კუთხეში მიმჯდარ ერთ უსუსურ არსებას დაემსგავსა, როდესაც მის ირგვლივ მძლავრი ტალღა გუგუნებდა შეძახილებით „გადადექი!“ – „არ გადადგე!“. ამ დროს მოქმედი კანონის თანახმად გიორგი გაფრინდაშვილის არჩევა არაკანონიერად ჩატარდა და კონკურსი უკვე გაუქმებულად ითვლებოდა. უფრო ღრმად თუ წავალთ, როგორც ახალგაზრდა ადვოკატების დასკვნაშია აღნიშნული, არც იოსებ არჩვაძის კენჭისყრა იყო ლეგიტიმური, რადგან საბჭო კონკურსით გამოცხადებულ ვადებში ვერ ჩაეტია და კენჭისყრა ვადების გადაცდენით ჩაატარა. ამდენად, სამართალს რომ დროზე ეზეიმა, არც იოსებ არჩვაძეს დასჭირდებოდა განცხადების დაწერა თანამდებობაზე უარის თქმის შესახებ (ისევ იხ. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 15. 03. 16) და ვერც გიორგი გაფრინდაშვილი გახდებოდა სახელმწიფოს პრობლემა.

აი, ასე იმუშავა უნივერსიტეტის უმაღლესმა ორგანომ – აკადემიურმა საბჭომ ამ ერთ კონკრეტულ საკითხზე ხუთი თვის განმავლობაში (კონკურსი კანცლერის თანამდებობაზე გამოცხადდა 2015 წლის 26 ოქტომბერს).

მინდა, აქვე შევეხო იმ სტუდენტებს, რომელთა პროტესტმა და აქტივობამ უნივერსიტეტის მრავალი ლაქა ლაკმუსის ქაღალდივით გამოამჟღავნა. ვიცი, კარგად ახსოვთ, როგორი მარცხი განიცადა 2011 წელს მოძრაობამ „თარგმნე“, როგორ უმოწყალოდ სცემეს ამ მოძრაობის ბიჭები. ეს იმიტომ მოხდა, რომ მათ უნივერსიტეტის ცალკეული თანამშრომლების სახით არაპროფესიონალი და დაბალი კომპეტენციის ინიციატორები და მხარდამჭერები ჰყავდათ. სად იყო ამ დროს აკადემიური საბჭო? რა ფორმით გამოეხმაურა ამ მოვლენას? შეხვდა კი სტუდენტებს და მოუსმინა მათ? რამდენადაც ვიცი, არა, რადგან ადმინისტრაციას მხოლოდ მე დავუპირისპირდი თანახმად ჩემი პროფესიული პასუხისმგებლობისა. თუ ამ პროცესს შემდგომში გართულებები არ მოჰყოლია, პირადად მე ამას მხოლოდ იმჟამინდელი კანცლერის გონიერებას მივაწერ.

რეფორმის დაწყებამდე უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო ორასზე მეტი წევრისგან შედგებოდა. ის აერთიანებდა ყველა ფაკულტეტის დეკანს, ყველა კათედრის გამგეს, ყველა დიდი სახელის მქონე მეცნიერს და რამდენიმე სტუდენტს.

როდესაც 2006 წელს გიორგი ხუბუა რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა, საგანგებოდ შეიქმნა 12-კაციანი აკადემიური საბჭო, რომელიც რექტორის არჩევნებს ჩაატარებდა. რექტორის თანამდებობაზე ერთზე მეტი განაცხადი იყო შესული, მაგრამ აკადემიურმა საბჭომ რექტორად გიორგი ხუბუა აირჩია. ვადის ამოწურვამდე აღნიშნულმა საბჭომ გიორგი ხუბუას გარკვეული ბრალდება წაუყენა და თანამდებობა დაატოვებინა. ეს ბრალდება არ გულისხმობდა პროფესორების უნივერსიტეტის მიღმა დატოვებას, რასაც მათი ჯანმრთელობა და სიცოცხლეც კი შეეწირა. ეს უმძიმესი ვითარება, მართალია, ძალიან რბილად წარმოვადგინე, თუმცაღა, მაქვს შეკითხვა აკადემიურ საბჭოსთან: რას აკეთებდა ამ დროს აკადემიური საბჭო? რომელ პროფესორს გამოესარჩლა და რა რჩევებს აძლევდა რექტორს? რატომ ვერ იგებდა მის მუშაობას უნივერსიტეტის პროფესურა? რატომ იყო მისი მუშაობა დასაბამისთანავე გასაიდუმლოებული? ახლა შევხედოთ მისი მუშაობის შემდგომ ისტორიას. როდესაც საბჭომ გიორგი ხუბუას დროზე ადრე დაატოვებინა თანამდებობა, რატომ არ გამოაცხადა კონკურსი ვაკანსიაზე და რატომ დაელოდა რექტორის დანიშვნას მთავრობის მხრიდან? რექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლად მთავრობამ დანიშნა ალექსანდრე კვიტაშვილი, პროფესიით ისტორიკოსი, ყოფილი ჯანდაცვის მინისტრი, რომელსაც არ ჰქონდა აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი. შემდეგ აკადემიურმა საბჭომ გამოაცხადა კონკურსი რექტორის თანამდებობაზე, რის შედეგადაც გაიმარჯვა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

რატომ არ შეეწინააღმდეგა საბჭო სა-

# მძებნელნი მზის და გზის...

მეცნიერო ხარისხის არმქონე პირის გარექტორებას არჩევნების პირობებით მაინც, მით უმეტეს, რომ კენჭისყრა ფარული იყო? რატომ არ მოუხმეს მაშინ უნივერსიტეტის ავტონომიას? როგორც ჩანს, არამეცნიერი რექტორი საბჭოს დისკომფორტს არ უქმნიდა. უფრო მეტიც, საბჭოს დაავიწყდა, რომ მას „აკადემიური“ ერქვა სახელად და არააკადემიური პირი უპრობლემოდ აირჩია რექტორად, რომელიც ავტომატურად მათი თავმჯდომარე გახდა.

მალე საბჭოს საქმიანობის ისტორიაში ძალიან საინტერესო ეპიზოდი გათამაშდა. 2012 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან ძალაში შევიდა მოთხოვნა რექტორისთვის სავალდებულო აკადემიური ხარისხის შესახებ, რის შედეგადაც ალექსანდრე კვიტაშვილი თანამდებობიდან გადადგა. ალექსანდრე კვიტაშვილის გადადგომიდან რამდენიმე დღეში აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით რექტორის მოვალეობის შემსრულებლად ისევ ალექსანდრე კვიტაშვილი დაინიშნა, ე. ი. კაცი, რომელიც თანამდებობიდან გადადგა იმის გამო, რომ სამეცნიერო ხარისხი არ ჰქონდა. რატომ? უნივერსიტეტს არ ჰყავდა თუნდაც ერთი სამეცნიერო ხარისხის მატარებელი პრორექტორი? რასაკვირველია, ჰყავდა.

2012 წელს ქვეყანაში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების ფონზე უნივერსიტეტი ელოდა ახალი რექტორის მოსვლას. რექტორი ან ისევ დროებით დაინიშნებოდა, ან კონკურსი გამოცხადდებოდა. ნათელი იყო, რომ ყველა შემთხვევაში მისი არჩევნები ჩატარდებოდა. მიმაჩნდა, რომ არსებულ აკადემიურ საბჭოს არ უნდა მისცემოდა საშუალება ჩაეტარებინა კონკურსი, რადგან ამ დროისათვის მას მრავალი კომპრომატი დაუგროვდა. **რექტორის გამოცვლაზე მნიშვნელოვანი იყო იმ საბჭოს სრული შეცვლა.** ამის თაობაზე არაერთი წერილი გამოვაქვეყნე (იხ. მაგ., „საქართველოს რესპუბლიკა“, 22 ნოემბერი, 2012 და 25 ივნისი, 2013). ეს პუბლიკაციები მიზნად ისახავდა უნივერსიტეტის მოწყობის უკეთესი მოდელის წარმოჩენას ძირითადად ბრიტანული უნივერსიტეტების გამოცდილებათა ფონზე, სადაც რექტორად პოლიტიკოსი ან პოლიტიკურად ანგაჟირებული პირი არასოდეს განიხილება. გამომდინარე იქიდან, რომ ბრიტანეთი რჩება წამყვან სახელმწიფოდ განათლების სისტემაში, ისეთი საკითხები წამოვჭერი, რომელთა მოწესრიგება ბევრს შემატებდა ჩვენს უნივერსიტეტს, მით უმეტეს, რომ ჩემს შეხედულებებს იზიარებდნენ უნივერსიტეტის პროფესორებიც და ფართო საზოგადოებაც. ჩვენი უნივერსიტეტი რომ იმ ეტაპზე საბჭოს მავნე მარწუხებიდან განთავისუფლებულიყო და გონივრული რეფორმები თანმიმდევრულად გაეტარებინა, ცოტაა იმის თქმა, რომ ამ სამარცხვინო პროცესებს ავცდებოდით, არამედ, ღრმად ვარ დარწმუნებული, ბევრად უკეთესი უნივერსიტეტი გვექნებოდა.

ალექსანდრე კვიტაშვილი წავიდა, მაგრამ საბჭო ძირითადად იგივე შემადგენლობით დარჩა (ზოგი მეორე ვადით ბრუნდება და რვა წელია, უკვე საბჭოშია). მთავრობას არ დაუნიშნავს თავისი კადრი არც რექტორად და არც მოვალეობის შემსრულებლად. რაც შეეხება აკადემიურ საბჭოს, მის რეფორმაზე არავინ იზრუნა. ამდენად, აკადემიურ საბჭოს ევალებოდა გამოეცხადებინა კონკურსი რექტორის თანამდებობაზე. მიუხედავად საბჭოს მძიმე წარსულისა, მაინც ველოდით სიახლეს, თუნდაც რექტორის შერჩევის მექანიზმის თვალსაზრისით (მაგალითად, ღია კენჭისყრას, აპოლიტიკურობას და სხვა). მოხდა ისე, რომ ერთადერთი თვალში საცემი სიახლე აღმოჩნდა შემდეგი: კონკურსში მონაწილე პროფესორებისგან საბჭომ მოითხოვა ცნობა ნარკოლოგიური დისპანსერიდან, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ცნობას არავინ ითხოვს, როცა პროფესორად გირჩევენ. ამ პირობით გამოდის, რომ პროფესორი შეიძლება იყოს ნარკომანი, ოღონდ საბჭოსთვის უმჯობესია, რომ რექტორი არ იყოს ნარკომანი, რადგან ვიწრო წრეში მათთან ერთად მოუწევს ხოლმე ყოფნა. მაპატიეთ, კომიკური ჩართვისათვის, მაგრამ, როგორც ჩანს, ასე ესმის საბჭოს უნივერსიტეტის ავტონომია, რომელიც მცირერიცხოვან წევრთა ერთობის ავტოკრატიად აქციეს. ამ წერილში არაერთხელ ვახსენე უნივერსიტეტის ავტონომია. ავტონომია რომ ბერძნული სიტყვაა და თვითმართვას ნიშნავს, მარტო მართვის მიღმა დარჩენილმა პროფესურამ ვიცით? პირველ რიგში, ვთქვათ, რომ **აკადემიური საბჭოს მუშაობა არ ყოფილა მართვა, რადგან სწორედ უმართაობის შედეგია ის, რა მდგომარეობაშიც სულ ცოტა ხნის წინათ აღმოვჩნდით**. მეორე, რატომ არაა უნივერსიტეტის ფართო პროფესურა მართვის პროცესებში ჩართული, თუნდაც ჩვენთვის ინფორმაციის მოწოდების მხრივ, პროფესურასთან მოთათბირების მხრივ? აკადემიური საბჭოს არსებობის ათწლიანი ისტორიის მანძილზე არ მახსოვს შემთხვევა, რომ მისი წევრი, ჩვენი ფაკულტეტის წარმომადგენელი იქნება თუ სხვა, ოდესმე დაინტერესებულიყო ჩვენთან შეხვედრით, ან კათედრის, ან ჩვენი მიმართულების სტუდენტების მუშაობით და ა. შ. უნივერსიტეტის ავტონომია თავად სასწავლებლის ავტონომიას გულისხმობს და არა დამახინჯებით გაგებულ მცირერიცხოვანი გუნდის „ავტონომიას“, რომელიც თავის ხუშტურებს კანონზე და სამართალზე მაღლა აყენებს. ეს უნივერსიტეტმა უნდა მართოს თავი საკუთარი ძალებით, რომელიც სწორი ადმინისტრირების შემთხვევაში ერთიანად სტუდენტებისა და პროფესურის ინტერესების აუცილებელ გათვალისწინებას გულისხმობს, მით უმეტეს, რომ უნივერსიტეტის ავტონომია დემოკრატიასა და პროგრესს კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს.

მაპატიოს მკითხველმა, რომელსაც ჩემი დამოძღვრა ნამდვილად არ სჭირდება, მაგრამ, მიმაჩნია, რომ ეს სჭირდება თავად აკადემიურ საბჭოს, და ისიც საჯაროდ, რადგან მათ მიერვე შექმნილი ზედმეტი კარჩაკეტილობის პირობებში სხვისი მოსმენის გზა აღარ დაიტოვეს.

2013 წელს რექტორის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში ათი მონაწილედან საბჭომ გამოარჩია აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა. ამჟამად, გახმაურებული მოვლენების ფონზე, აკადმიური საბჭო გადაუდგა რექტორს და მის წინააღმდეგ იმპიჩმენტი წამოიწყო. საინტერესოა, ნანობს საბჭო, რომ ვლადიმერ პაპავა აირჩია რექტორად? რატომ? ვერ იმუშავეს მასთან, თუ ის ახლა აღარ აწყობთ? ყველა შემთხვევაში ვლადიმერ პაპავა მათი არჩეული რექტორია და პასუხისმგებლობა მის შეცდომებზე, თუ ასეთზე მიანიშნებენ, თავადაც უნდა გაინაწილონ. საბჭოს ის წევრები, ვინც ვლადიმერ პაპავა აირჩია, დღესაც საბჭოში არიან.

რექტორების მოსვლაში რომ არასოდეს ჩარიეთ პროფესურა, ეს ვიცით, მაგრამ მათი წასვლის პირობები რომ მაინც აცნობოთ ხოლმე, არ შეიძლება? ბრალდებებს რომ წაუყენებთ რექტორებს, თქვენი კანონმდებლობით თუ არაა გაწერილი, პროფესორების უნივერსიტეტში მუშაობით ხომ მაინც განპირობებულია. რა გარანტია გვაქვს, რომ თქვენი ბრალდებები ცრუ არ იქნება? **ჯერ არ შეგშლიათ კანონი და სამართალი, თუ ადმინისტრირებაში მაღალი რეპუტაციით სარგებლობთ?** როდესაც ვიწრო წრეში ფარულად ირჩევდით რექტორებს, ამით თქვენს თავზე იღებდით პასუხისმგებლობას იმისა, რომ **ისინი გაუძღვებოდნენ ჩვენს მუშაობას უნივერსიტეტში და სტუდენტების წინსვლასა და სათანადო განათლების მიღებას,** ხოლო, როდესაც მათ გადაყენებას თქვენს თავზე იღებთ, პირველ რიგში პროფესურას უნდა მოახსენოთ მათი მუშაობის ნაკლოვანებების შესახებ. თავად რექტორსაც აუცილებლად მიუთითოთ და ღია მსჯელობის ფონზე მასთან ერთად იმსჯელოთ გამოსავალზე, მაგრამ არა სამი წლის შემდეგ მათი არჩევიდან, არამედ ბევრად ადრე.

მაქვს კონკრეტული შეკითხვა: თუ პროდუქტს პროფესორები ვქმნით უნივერსიტეტში, სახელსა და ღირსებას ეს ჩვენ ვმატებთ მას შინ და გარეთ, თქვენ რატომ უნდა დააზიანოთ ჩვენი შრომის შედეგი და ისიც უნივერსიტეტის სახელით?

საზოგადოებას კარგად მოეხსენება, რომ საბჭოს ორი წევრი გადადგა. ეს ნაბიჯი, პირველ ყოვლისა, ნიშნავს იმას, რომ ორმა პროფესორმა უარი გამოაცხადა ამ გუნდში მუშაობაზე. დღეს აკადემიური საბჭოს წევრებს სურთ ეს ვითარება თავის სასარგებლოდ გამოიყენონ და ალაპარაკდნენ რაც შეიძლება მალე კონკურსის გამოცხადებაზე შექმნილი ვაკანსიების მიხედვით. ეს ბადებს საფუძვლიან ეჭვს იმისა, რომ უმრავლესობა თავისნაირ უმცირესობას მოიზიდავს, ისიც ნაცადი ხერხებით. ვურჩევ, წაიკითხონ, რას ამბობს მათზე უნივერსიტეტის ზემოაღნიშნული გაზეთის იმავე ნომერში ცნობილი მწერალი **ნაირა გელაშვილი** და ისე დაგეგმონ სათავისო გაფართოება.

რწმენის შემდეგ დედაშვილობაზე წმინდა არაფერია ადამიანისთვის და აი, აქაც, თუ დედა შვილს არ პატრონობს, იურისპრუდენცია განიხილავს საკითხს დედობის უფლების ჩამორთმევაზე. თქვენ სად შეიძინეთ ეს გრძელვადიანი უფლება უნივერსიტეტზე ბატონობისა, თან ისე, რომ მას არანაირად არ პატრონობთ? უნივერსიტეტისთვის ბოძებული ავტონომია ბატონყმობის ინსტიტუტად რად აქციეთ? იოსებ არჩვაძე პრეტენზიების გამო გადადგა, გიორგი გაფრინდაშვილი გადადგა-თქო, ვერ ვიტყვით, რადგან აშკარად კონკურსის მიღმა დარჩა, მაგრამ სიტუაციის მიხედვით ნაბიჯი მაინც გადადგა, თვითმმართველობა რეფორმირების გზების მოძებნას არ გამორიცხავს, რექტორი შენიშვნების მოსმენას არ გაურბის, საბჭოს ორი წევრი გადადგა და ა. შ. მიბაძეთ გაბედულ კოლეგებს და თავად გამოხატეთ ნება გადადგომისა, თორემ თქვენ ისედაც უკვე საქვეყნოდ მოახდინეთ საკუთარი მოვალეობის უგულებელყოფა და ხელი აიღეთ თქვენს საქმიანობაზე.

ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო. ურემი რომ გადაბრუნდა უნივერსიტეტში, ეს მთელმა საქართველომ ნახა, მაგრამ გზას ჯერ, ალბათ, იმიტომ ვერ ვხედავთ, რომ ეს ურემი ლაფშია ჩაფლული. და თუ ეს ასე არაა, „რუსთავი 2“-ის ეთერში ერთად მისული სტუდენტები რატომ მოითხოვდნენ ერთხმად აკადემიური საბჭოს გადაყენებას და რატომ ამბობდნენ აღშფოთებულები, რომ იქ ყველაფერი ყარსო?

ლაფი, პირველ რიგში, არასწორი ადმინისტრირება, დაბალი კომპეტენცია და საბჭოს კანონსაწინააღმდეგო ქმედებებია, რომელიც ქაოსისკენ მიაქანებს უნივერსიტეტს და მის ახალგაზრდობას.

ამიტომაც, ამ ყველაფრისა და სხვა ბევრის გამო, აკადემიურ საბჭოს გადადგომისაკენ მოვუწოდებ, რათა მათ მეტად აღარ დააზიანონ უნივერსიტეტის ადმინისტრირება და საკუთარ პროფესიულ საქმიანობას უკეთ მიჰყონ ხელი!

მაგრამ, როდესაც გადადგებით, კოლეგებო, აღარასოდეს გაიხედოთ უკან უნივერსიტეტის ადმინისტრირებისკენ, რათა ვინმემ წარსული არ გაგიხსენოთ ისევე, როგორც ეს სხვებს გაუხსენეს.

უნივერსიტეტის ადმინისტრირება და მენეჯმენტი განათლებისა და მეცნიერების განვითარების პირობაა, რაც, თავის მხრივ, პირობაა ქვეყნის წარმატებული მომავლისა და თქვენ ამას დღეს აღარ დაგანებებენ.

**„ცოდნა ძალაა“, – თქვა ფრენსის ბეკონმა, რომელიც ელისაბედ I-მა სათავეში ჩაუყენა უმეცრების წინააღმდეგ ბრძოლას და ააშენა კიდეც განათლების ხარჯზე ძლიერი სახელმწიფო. ესპანეთის უძლეველი არმადა ინგლისმა სწორედ ინტელექტითა და ცოდნით დაამარცხა, ისევე, როგორც მათზე ბევრად ადრე, დიდგორი დავით აღმაშენებელმა განათლებით მოიგო, იმ განათლებით, რომელსაც მის მიერვე შექმნილი გელათის აკადემია უზრუნველყოფდა.**

დაბოლოს, ვიცი, რომ ბევრი რამე წახდა უნივერსიტეტში: განადგურდა ინსტიტუტები, მოიშალა სამეცნიერო სკოლები, დაინგრა ლაბორატორიები, გაქრა მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია და ლიტერატურა, დავკარგეთ ცოდნის მატარებელი მრავალი პროფესიონალი, და ამაზე კიდევ უფრო ძვირფასი – ხშირ შემთხვევაში დავკარგეთ სტუდენტების ნდობა და სიყვარული პროფესორ-მასწავლებლების მიმართ... ისიც კარგად ვიცი, რომ უნივერსიტეტს ჯერ კიდევ ჰყავს მრავალი საამაყო პროფესიონალი და აუცილებლად ჰყავს ცოდნას მოწყურებული ახალგაზრდობა, რომელთა მუშაობა პროგრესულ და სამართლებრივად გაწონასწორებულ სივრცეში საგრძნობლად გააძლიერებს მას.

მაგრამ, თუ გადარჩა ის დიდი იდეა, რომელიც მოიტანა ჩვენამდე ივანე ჯავახიშვილმა და სხვა დიდ მამულიშვილებთან ერთად საძირკვლად დაუდო კავკასიაში პირველ ეროვნულ უნივერსიტეტს, იქნებ, ვცადოთ ყველამ ერთად და კიდევ ერთხელ დავირაზმოთ ამ იდეის ირგვლივ!

ხოლო, თუ ეს შევძელით, გულწრფელად ვისურვებდი, რომ რუდუნებით მომუშავე პროფესიონალთა რიგებში თქვენც გიხილოთ, ჩვენო კოლეგებო.

**ინესა მერაბიშვილი,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თარგმანმცოდნეობის კათედრის ხელმძღვანელი, ნოტინგემის უნივერსიტეტის პოსტკონფლიქტურ კულტურათა კვლევის საერთაშორისო კონსორციუმის დირექტორთა საბჭოს წევრი, საერთაშორისო ელჩის ორდენის კავალერი**

**რწმენის შემდეგ დედაშვილობაზე წმინდა არაფერია ადამიანისთვის და აი, აქაც, თუ დედა შვილს არ პატრონობს, იურისპრუდენცია განიხილავს საკითხს დედობის უფლების ჩამორთმევაზე. თქვენ სად შეიძინეთ ეს გრძელვადიანი უფლება უნივერსიტეტზე ბატონობისა, თან ისე, რომ მას არანაირად არ პატრონობთ?**



**როსტომ ჩხეიძემ დაასრულა ახალი, რიგით მე-19 ბიოგრაფიული რომანი სოლომონ დოდაშვილზე „მისიონერი“. გთავაზობთ წინათქმას ამ რომანიდან.**

# დროშა — მემკვიდრეობით გადმოცემული







**ქრონიკა რჩეულისა მის — სოლომონ დოდაშვილის ცხოვრება-მოქალაქეობისა ბევრნაირად შეიძლება დაწყებულიყო, მაგრამ მოდი მაინც ამგვარად იყოს.**

ამგვარად, ანუ:

„დროების“ 1876 წლის მე-4 ნომერში რომ გამოქვეყნდებოდა ანგარიში იმ საზეიმო თავყრილობისა, რომელიც მიეძღვნებოდა ამ გაზეთის დაარსების ათი წლისთავს.

მოკლე ანგარიშია, მაგრამ სიმოკლე რას უშლის!..

გამორჩეული მოვლენა აღმოჩნდებოდა ეს გამოცემა სერგეი მესხის ღვაწლისა და თავდადების წყალობით და დიდ გამოცოცხლებასა და მღელვარებასაც შემოიტანდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მისი ათი წლისთავის იუბილე უსათუოდ უნდა აღნიშნულიყო, და არა მარტოდენ მანამდელი წვლილის წარმოსაჩენად, არამედ კიდევ უფრო შესაგულიანებლად „დროებისა“ მომავალი ბრძოლებისათვის, ეს მოვალეობა ახალ ხანაში სწორედ გამოცემებს რომ დაჰკისრებოდა, გაზეთი კი ამ მხრივ ყველაზე სწრაფი და მობილური გახლდათ საზოგადოებრივი აზრის წარსამართავად.

ვინ აღარ დაესწრებოდა ამ შეკრებას — ეს ილია ჭავჭავაძეო, ეს ნიკო ნიკოლაძეო, ეს ბესარიონ ღოღობერიძეო, ეს კონსტანტინე მამაცაშვილიო...

რა კეთილი სიტყვა აღარ გაემეტებოდათ რედაქციის მიმართ, უპირველესად კი რედაქტორის, რომლის შრომა-გარჯაც გამაოგნებელი გახლდათ, ყველა მხოლოდ მაშინ რომ დააფასებდა, ილაჯმიხდილი ზედ რომ დააკვდებოდა მაგიდას.

მაშინღა — როგორც ხდება ხოლმე!..

ჯერ ჯავარზე იყო სერგეი მესხი და იმედიანად გაჰყურებდა მომავალს, „დროება“ თავის მხრივაც რომ მიზანსწრაფულად მიჰკვალავდა გზას და ცოტას არ აწესრიგებდა უფლებაწართმეულ ქვეყანაში, რომელსაც ქვეყანა, კაცმა რომ თქვას, პირობითადღა ერქვა, მაგრამ თავქვეზე დაქანებულს რაღაც-რაღაც ხელმოსაჭიდები ჯერაც რჩებოდა, ხავსზე ცოტა უფრო მეტი, და სერგეი მესხიც სულს უბერავდა მინავლებულ ნაკვერჩხლებს, აღვივებდა, აგუზგუზებდა, ამჯერად ყურადღებადქცეული რომ მისჩერებოდა თითოეული ორატორის გამოსვლას, მაგრამ, რა დასამალია, ყველაზე ძალიან ილია ჭავჭავაძის გამოსვლა რომ აინტერესებდა და მისი სიტყვები კიდეც ღრმად ჩაებეჭდებოდა გულში.

მარტო მას ხომ არა!..

საზეიმო განწყობილება ეშხში შევიდოდა.

და აი, დადგებოდა მისი სადღეგრძელოს თქმის ჟამიც და ილია ჭავჭავაძე გაახსენებდა მონადიმეთ ადრინდელ მოღვაწეებს ქართული ჟურნალისტიკისა: გიორგი ერისთავსა და სოლომონ დოდაშვილს.

ერთის თავგამოდება ყველას ახსოვდა, სულ ცოტა ხნის წინათ თვითონ გიორგი ერისთავიც თვალწინ ჰყავდათ, მაგრამ აი, სოლომონ დოდაშვილის სილუეტი სადღაც შორს დარჩენილიყო, წელთა კვალობაზე ვაითუ კიდეც მიკარგულიყო და განსაკუთრებული გამონათება ესაჭიროებოდა მის მობურუსიანებულ სახებას.

სიტყვასიტყვით მაინც როგორ წარმოეთქვა?

როგორ და:

— ყველას სამართალი ითხოვს, რომ ყველას თავისი მოეწყოს. თუმცა, იმ დროშაზედ, რომელზედაც უფალმა მესხმა მოიხსენა, ეხლანდელთა „დროების“ მოღვაწეთა თავისი მიმართულება ზედ წანაწერეს, მაგრამ თვით დროშა კი მემკვიდრეობით გვაქვს გადმოცემული განსვენებულს სოლომონ დოდაშვილისაგან, გიორგი ერისთავისაგან. საუკუნოდ იყოს ხსენება მათი ჩვენში.

მობურუსიანებულ სახებასო...

იქ აედგა ფეხი გიორგი ერისთავს, თავისი მოძღვრის ჟურნალში, და „ცისკრის“ დაარსებას რომ მოინდომებდა იმ გამოცემის 20 წლისთავზე, იმიტომაც, სოლომონ დოდაშვილის დაწყებულ საქმეს ჩადგომოდა კვალში.

ამდენი წლის შემდგომ?

რა უჭირდა მერე, მთავარია, რომ ობლად აღარ რჩებოდა „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, და არამცთუ ობლად, ჟურნალისტურ სარბიელს უკვე ველარაფერი აღკვეთდა, „ცისკარი“ ახალ-ახალ გამოცემებსაც რომ დაბადებდა, ილია ჭავჭავაძესაც გაუხსნიდა გზას და მისი „საქართველოს მოამბეც“ და „ივერიაც“ ამ კალაპოტს კიდევ უფრო რომ გააფართოვებდა, ჟურნალ-გაზეთების რიგში უნდა ჩამდგარიყო „დროებაც“, რომლის იუბილეც უნდა გადაქცეულიყო ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის ზოგადი სურათის მოხაზვის ხელსაყრელ საშუალებადაც, სოლომონ დოდაშვილის გარეშე რომ არ ითქმოდა ეს ახალი სამყარო ჩვენს საზოგადოებრივ-კულტურულ რეალობაში.

ილიას უნდა დაებეჭდა თავისი ბეჭდით, არ მიეცა უფლება არავისათვის, რომ შეეკვეცათ ეს ისტორია და ის ტრაგიკული კაცი, რამდენი რამის მოთავე, ამ ისტორიის მიღმა, უკეთეს შემთხვევაში — ბურუსში, დაეტოვებინათ.

კიდევ კარგი, ყველას არა სჭირდებოდა შეხსენება და სერგეი მესხი ოთხი წლით ადრე წაედავებოდა „კავკაზის“ რედაქციას, ქართულ ჟურნალ-გაზეთებზე გაკვრით ლაპარაკისას პირველ დროგამოშვებად ერისთავის „ცისკარი“ რატომ მოიხსენიე, როგორ შეიძლება დავიწყებული გვქონდეს, რომ პირველი კერძო პირის გამოცემა იყო „ტფილისის უწყებანი“, რომელიც გამოდიოდა 1832 წელს სოლომონ დოდაშვილის რედაქტორობითო:

**— ეს იყო პირველი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, სალიტერატურო დამატებითა. სრული ეგზემპლარი ამ გამოცემისა ვერ მოგვიპოვებია აქამდის და იმედი გვაქვს, ვინმე მონახავს და გაგვაცნობს შინაარსსა, ანუ ჩვენ გამოგვიგზავნის, რომ დაწვრილებით მოველაპარაკოთ ჩვენ მკითხველებსა. ეს ძალიან საინტერესო გამოცემაა. „ტფილისის უწყებანი“ იბეჭდებოდნენ „გამომცემელ კომიტეტის სტამბაში“. რა იყო ეს „გამომცემელი კომიტეტი“, არ ვიცით. ზემოხსენებულ სტამბაშივეა დაბეჭდილი „ქართული ღრამატიკა“ სოლომონ დოდაშვილისა 1832 წელს.**

ამ პასაჟის ზოგიერთი დეტალის დაზუსტებას მოგვიანებით რომ შეეცდებოდნენ ამ სტატიისათვის — „ახალი სომხური გაზეთი „მშაკ“ და ახალი რედაქცია გაზეთის „კავკაზისა“ — დართულ შენიშვნებში, ამ წვრილმანებს განა რა მნიშვნელობა აქვს მის ზნეობრივ ფონზე, „დროების“ მკითხველის ცნობიერებაში ამ მხრივ მაინც რომ უნდა გაელვებულიყო ეს დიდებული სახელი, გაელვების გარდა სერგეი მესხი ამასაც დაბეჯითებით რომ ითხოვდა, მოიძიეთ „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, მზად ვარ, მისი შინაარსი დაწვრილებით გავაცნო საზოგადოებასო.

და აგერ ილია ჭავჭავაძეც ამოდგომოდა მხარში ამ სახელისა და ღვაწლის წამოსაწევად.

სოლომონის პიროვნება მის ცნობიერებაში შთაებეჭდა ალექსანდრე ორბელიანს, მას გადაეშალა ფურცელ-ფურცელ დარაბებჩაგმანულ და ჩამობნელებულ ოთახში, სანთლები რომ კრთოდნენ იდუმალად; და დასანანია, რომ ილია აღარ გაჰყოლოდა ამ რჩეული კაცის ხასიათის წარმოსახვას მისებური მადლითა და ძალით, ყველაფერს ვეღარ გაწვდენოდა თვით ისიც, სოლომონის ღვაწლს შეთქმულთა ზოგად პორტრეტში რომ გაანივთებდა, ქვეყნისათვის თავდადებულ ახალგაზრდათა საზოგადოებრივ-კულტუროლოგიური ღვაწლის ერთიან შეფასებაში, და უტოვებდა მის ბიოგრაფიულ ქრონიკას აღსაწერად ზაქარია ჭიჭინაძეს, გულმოდგინედ ვინც შეაგროვებდა ყოველგვარ ცნობას, რისი მოპოვებაც შეიძლებოდა სოლომონ დოდაშვილის წრისაგან და მოხდენილ პორტრეტადაც გამოჰკვეთდა ფარული საზოგადოების საქმიანობის ფონზე, ცოტა ხანში კიდევ ერთხელ რომ მიუბრუნდებოდა ამ თემატიკას, აწ უკვე ნიკოლოზ ბარათაშვილთან ურთიერთობის სრულყოფილად წარმოჩენისათვის.

ზაქარია ჭიჭინაძე სხვათა ნაამბობს ეყრდნობოდა, ხოლო იონა ხელაშვილს ვისი რა მოყოლა სჭირდებოდა, თუ ვინმე, იგი იცნობდა თავისი აღზრდილის პიროვნულ ბუნებასა და უჩვეულო უნარსა და ენერგიას და მოკლე, ოღონდ საკმაოდ ტევად დახასიათებაში ჩაწურავდა სოლომონ დოდაშვილის პორტრეტს, ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ასერიგად მნიშვნელოვანსა და გზისგამკვალავს ამ ხასიათის ღრმა შრეებში შესაღწევად:

**— სულით არს ტალანტებიან და მდაბალ და მშვიდ და ზნეობითა პატიოსან და ხარაკტირებითა ნიშატიანი, აღთქმათა შინა და სიტყვათა მტკიცე, უტყუვილ ღვთის მსახურებასა შინა, განკრძალულ სწავლათა შინა, მარჯვე განათლებულთა, სამღვდელოთა და ერისა მოყვარე, მამულისა სამსახურისა მოსურნე, მყუდრო ცხოვრებისა მოყუარე მგზავსათ მემხოლოეთა, მცირეთა მეტყველ, მრავალ კეთილთა სიტყუათა მსმენელ, საჭმელითა მცირეთა კმაყოფილ, სამთურალო სასმელთა არცაღა მომგონებელ, კნინისა ძილის მექონ, წიგნებთა შინა განრთულ, ჟამებისა არა წარწყმედელ, ყოვლადთა სიტყუებთა და საქმეთა მარჯუედ მსჯელ, მყობადთა დროთა და საქმეთა და შეცდომათა კეთილ გულისხმიერ მსჯელ, რომელ მცირეთა დროთა შინა ფილოსოფიისა და ღუთისმეტყუელებისა კლასებთა ზეახდა გასაკვირვად აქაურთაცა, და არს შეყუარებულ სწავლისა მთავრობათა და მასწავლებელთაგან ესე ვითარი მამულისა შვილი, ჭური სიბრძნისა, ვინ მეცნავმან ბრძენმან არ შეიყუაროს, რომელსა გოლი მოსწვეთს ბაგეთაგან და მანანა თითებთაგან.**

ყველა სიტყვა გულდასმითაა მოფიქრებული და აწონილი, ყველა ფრაზა ზუსტად გამოკვეთილი, გაშლაღა რომ სჭირდება და მასალებით შევსება — ბიოგრაფიული ეპიზოდებითა თუ შეხედულებებით, ერთითაც და მეორეთიც საკმაოდ რომ ააღელვებდა და აღიტაცებდა თანადროულ საზოგადოებას, ისეთი იმედით რომ მიაჩერდებოდნენ, წინამძღოლი მოგვევლენიაო და ეგააო.

არადა, რარიგ ენატრებოდათ ასეთი წინამძღოლი უმეფოდ დაშთენილ სინამდვილეში.

ამოვარდნილიყო ტფილისური ყოფიდან სოლომონ დოდაშვილი დროის უაღრესი შეგრძნებითაც, წუთი რაა, წუთსაც რომ არა კარგავდა და მის დახასიათებაშიც საგანგებოდ ამიტომაც აღინიშნებოდა: ჟამებისა არა წარწყმედელიო, — და: კნინისა ძილისა მექონიო:

ღამით ერთ-ორ საათს თუ ქრებოდა შუქი მის ბინაში.

ამიტომაცაა: თაფლი რომ მოსწვეთდა ბაგეთაგან და მანანა — თითთაგან.

და მისთვის შემოწერილ ხანას, ბედისწერისაგან ასე მკაცრად დასაზღვრულს, ამდენს ამიტომაც გამოწურავდა იმ ჟინითა და სულიერი სილაღით, იმ თვითრწმენითა და სულისკვეთებით, ბედთან შეჭიდებულ გმირებს რომ სჩვევიათ, დიდად რომ არ დაგიდევენ იმის სისასტიკეს და მაინც თავისას მოჰკვალავენ...

* * *

თვით დროშა მემკვიდრეობით მისგან გვაქვს გადმოცემულიო, — ეს შეგნებაც მსჭვალავდა ილია ჭავჭავაძის არამცთუ იმ სადღეგრძელოს, არამედ მის ყოველ მოქმედებას.

მითოსური არქეტიპივით მოჩანდა სოლომონ დოდაშვილი ახალი დროების გარიჟრაჟზე:

მწერალი, მისიონერი, ფილოსოფოსი, პედაგოგი, რედაქტორი, ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის იდეოლოგი და მეთაური, წამებული, გოლგოთაზე ზეაღსვლითაც რომ უნდა დაეგვირგვინებინა ამსოფლიური ღვაწლი თვისი.

გოლგოთის გარდუვალობა-აუცილებლობა ქართველი მწერლისა და მოღვაწის ბედში ლიტერატურულ ფორმულად საუკუნის შემდგომ უნდა ჩამოენაკვთა მიხეილ ჯავახიშვილს და საკუთარი სისხლითაც დაეკირა. და მზერას რომ მიმოატარებდა გამოვლილ გზას, ისე კანთიელად, ისე შთამბეჭდავად ამოანათებდა სოლომონ დოდაშვილის სახება, ზედგამოჭრილი რომ გახლდათ ამ ფორმულისათვის.

მითოსურ არქეტიპს როგორც შეშვენის!..



ეს მაინც რა დროშა გადმოეცა მემკვიდრეობად...

ნაცვლად დავითიან-გორგასლიანისა:

მისიონერულ-გოლგოთიანი!..

**როსტომ ჩხეიძე**

ოპტიმიზმი გადაგარჩენთ!

**90-წლიან ასაკს აღწევს ერთი 5 ათასი კაციდან, ასი წლისთავს აღნიშნავს ერთი 20 ათასიდან, მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს არა მხოლოდ ის, თუ როგორ ვიცოცხლოთ 100 წლამდე, არამედ ის, შეიძლება თუ არა გავიხანგრძლივოთ სიბერე? შეიძლება თუ არა რაც შეიძლება დიდხანს შევინარჩუნოთ ფიზიკური და სულიერი სიმხნევის პერიოდი?**

**ჩვენი ექსპერტია აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ვლადიმერ შაბალინი.**

# ძღვგრძელობა ხელმისაწვდომია თითოეულისთვის...

## შრომა, მოძრაობა, სექსი...

**მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ჩვენი ცხოვრების 50 პროცენტი დამოკიდებულია მემკვიდრეობითობაზე, რაზეც ჩვენ ჯერ გავლენის მოხდენა არ შეგვიძლია, 50 პროცენტი კი — ცხოვრების წესზე, რასაც ჩვენ ვეწევით. გამოდის, რომ მოკლე იქნება თუ ხანგრძლივი ჩვენი ცხოვრება, დიდადაა დამოკიდებული თავად ჩვენზე.**

დღეგრძელობის რა მთავარ ფაქტორებს ასახელებს მეცნიერება?

**მოტივაცია**. გეზის აღება იმაზე, რომ დიდხანს ვიცოცხლოთ. ჯანმრთელობაზე ჩვენ დავფიქრდებით ხოლმე, როდესაც მას ვკარგავთ. თუმცა ახალგაზრდობის წლებში ჩვენ ვბერდებით უფრო სწრაფად, ვიდრე ხანდაზმულობისას იმიტომ, რომ დაბერების პროცესი პირდაპირ პროპორციულია მეტაბოლიზმის სიჩქარესთან, რაც ორგანიზმში ხდება. რაც ადრე მივცემთ საკუთარ თავს მითითებას დღეგრძელობაზე, მით უფრო საალბათოა, რომ მივაღწევთ ამ მიზანს.

ყველაზე მთავარია — გავიგოთ, რომ პასუხისმგებლობას საკუთარი განწყობილებისათვის ატარებს თავად ადამიანი, მიაჩნია აკადემიკოს შაბალინს.

**ოპტიმიზმი**. გერონტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შეადგინეს მოსკოვის ხანდაზმულთა რეგისტრი. იმ მომენტისათვის ისინი 39-40 ადამიანი იყო. მათ უდიდეს უმრავლესობას აინტერესებდა, არა მხოლოდ თავისი შინაგანი მდგომარეობა, თავისი უბედურება და ავადმყოფობა, მათ აღელვებდათ ოჯახის, მთელი საზოგადოების პრობლემები.

ეცადეთ, არ გაღიზიანდეთ, ყველაფერს უმზირეთ ოპტიმიზმით. ჰოლანდიელმა მეცნიერებმა, რომლებიც 15 წლის განმავლობაში თვალყურს ადევნებდნენ ასეულობით ხანდაზმულ ადამიანს, აღმოაჩინეს, რომ ოპტიმისტებს უფრო იშვიათად ემართებათ ინფარქტი და ინსულტი, ისინი უკეთესად უმკლავდებიან სტრესებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი დაადგინეს, რომ ოპტიმისტებს იმედი აქვთ, იცოცხლონ 20 წლით უფრო დიდხანს, ვიდრე მათ დუნე თანატოლებს, ისინი მეტს მუშაობენ და უფრო გვიან გადიან პენსიაზე. მათ აქვთ დიდი დანაზოგები, და თუ განქორწინებული არიან, აპირებენ, არ იცხოვრონ მარტო, არამედ შექმნან ახალი ოჯახი. სამყაროსთვის თქვენს ერთ სასიხარულო შეხედულებას შეუძლია გაახანგრძლივოს თქვენი სიცოცხლე 9 წლით.

**სხეულის ჰიგიენა**. ყურადღება უნდა მივაქციოთ საკუთარ ჯანმრთელობას, დროულად ვუმკურნალოთ კბილებს, ვივარჯიშოთ... ვარჯიში წვრთნის სისხლძარღვებს, მაშასადამე, უკან სწევს სიბერის გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მოსვლას. და აუცილებელია, გამოვიძინოთ. ღამით თქვენს ორგანიზმში გამომუშავდება მელატონინის ჰორმონი, რომელიც თავიდან გვაცილებს დაბერებას. იგი ზრდის წინააღმდეგობას ინფექციებისადმი, დაბლა სწევს ქოლესტერინის დონეს, აწესრიგებს არტერიულ წნევას და თრგუნავს მოქმედებას თავისუფალი რადიკალებისა — აქტიური ნაწილაკებისა, რომლებიც ანგრევენ უჯრედებს.

**სწორი კვება**. ასაკთან ერთად საჭიროა უფრო ნაკლები კალორიულობა, ვიდრე ახალგაზრდობაში, ნაკლები მოცულობა, თუმცა, მრავალფეროვნული. არ არის არც ერთი სერიოზული გამოკვლევა, რომელიც აჩვენებდა, რომ დიეტები — იქნება იგი დაყოფილი კვება, ვეგეტერიანობა, კვება სისხლის ჯგუფის მიხედვით — იყოს სასარგებლო.

ამერიკელი მეცნიერების ექსპერიმენტები მღრღნელებზე აჩვენებენ, რომ საკვების კალორიულობის შემცირება სულ რაღაც 8 პროცენტით მნიშვნელოვნად აუმჯობესებს თაგვების ჯანმრთელობას. კალორიულობის შემცირება კი ერთი მესამედით ახანგრძლივებს მათ სიცოცხლეს 10-20 პროცენტით.

როდესაც მოხალისეები, ვისაც ზედმეტი წონა აწუხებდა, კალორიების მოხმარებას 25 პროცენტით ამცირებენ და ასე იკვებებოდნენ ნახევარი წლის განმავლობაში, მათ უმცირდებოდათ ინსულინის დონე და სხეულის ტემპერატურა. ორივე ეს შემცირება დღეგრძელობის ნიშნებად ითვლება.

**მოძრაობა**. ჩვენ ბუნებით მონიჭებული გვაქვს პროგრამა, რომ მუდმივად ვმოძრაობდეთ. ქალაქში მცხოვრებმა ფორმა რომ შეინარჩუნოს, ყოველდღე უნდა გადადგას თუნდაც 10 ათასი ნაბიჯი. ხანდაზმული ადამიანებისთვის სასარგებლოა გაჭიმვითი ვარჯიშები. ივარჯიშეთ, დაიჭიმეთ სახსრები, რაც, შეიძლება, თავდაპირველად მტკივნეულიც კი იყოს, მაგრამ მალე გაივლის.

**უარი მავნე ჩვევებზე**. მოსკოვის ხანდაზმულთა შორის მწეველი 1 პროცენტი იყო. ქვეყანაში საშუალოდ მოზრდილი ადამიანების 40 პროცენტი ეწევა.



ლოთები და ალკოჰოლის მოყვარულები ხანდაზმულთა რეგისტრატურაში სავსებით არ ყოფილა.

**მუდმივი გონებრივი დატვირთვა**. 20 წლის გამოკვლევამ, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოებდა, აჩვენა, რომ უმაღლესი განათლების ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობა გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე დაწყებითი განათლების მქონეებისა. სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთა შორის ყველაზე დიდხანს ცოცხლობენ უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლები, რომლებმაც ყოველთვის უნდა განაახლონ თავიანთი ცოდნა. აკადემიკოსების სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ 20 პროცენტით მეტია, ვიდრე პოპულაციაში საერთოდ.

**სოციალურად მნიშვნელოვანი შრომა**. სამეცნიერო აღმოჩენათა დაახლოებით ნახევარს აკეთებენ 60 წელზე მეტი ხნის ადამიანები. ახალგაზრდები ხანდაზმულებს წინ უსწრებენ მუშაობის სისწრაფეში, ისინი 25 პროცენტით უფრო სწრაფად მუშაობენ. თუმცა, მუშაობის ხარისხით მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ხანდაზმულებს. ამ თვალსაზრისით პენსიაზე გასვლის ასაკის გაზრდა სასარგებლოა ქვეყნისთვისაც და თავად ხანდაზმული ადამიანებისთვისაც, სანამ ის მუშაობს, მას მაღალი აქვს თვითშეფასება და საზოგადოებაც მეტად აფასებს მას.

**ოჯახი**. მამაკაცებიც და ქალებიც უფრო დიდხანს ცოცხლობენ ერთგულ ოჯახში. სიყვარული საშუალოდ 5 წლით ახანგრძლივებს სიცოცხლეს, დაიანგარიშეს ამერიკელმა გერონტოლოგებმა. ისრაელის გამოკვლევებმა კი აჩვენეს, რომ ის მამაკაცები, რომლებიც ცოლებს უყვართ, ნახევრად უფრო იშვიათად ხდებიან ავად ანგინით და მათ ნაკლებად ემართებათ გულის შეტევები, ვიდრე მათ თანატოლებს, ვისაც პრობლემები აქვთ ცოლებთან. გერმანელმა მეცნიერებმა შეადარეს იმ მამაკაცების სიცოცხლის ხანგრძლივობა, რომლებიც დილით სამსახურში წასვლის წინ კოცნიდნენ ცოლებს და მათი, ვინც დაშორების წინ იძახდა მხოლოდ „საღამომდე!“ ის მამაკაცები, რომლებსაც არ ეზარებოდათ დილით ცოლების კოცნა, უფრო დიდხანს ცოცხლობდნენ.

**ოჯახური ცხოვრება** — ესაა რეგულარული სექსი. სექსი კი — ესაა ყველაზე სასიამოვნო წამალი სიბერის წინააღმდეგ. გამოკვლევებმა, რომლებიც ისლანდიაში მოაწყვეს, აჩვენა, რომ 40-55 წლის მამაკაცებს, ვისაც კვირაში სამზე მეტი სექსი აქვს, ინფარქტებისა და ინსულტების ალბათობა უმცირდებათ ორჯერ. გამოკვლევამ კი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში მოეწყო, აჩვენა, რომ ის წყვილები, რომლებსაც კვირაში, როგორც მინიმუმი, 3-ჯერ აქვთ სექსი, 30 წლის შემდეგ ნებისმიერ პირობებში გამოიყურებიან 3-5 წლით უფრო ახალგაზრდად თავისი ასაკის იმ ადამიანებთან შედარებით, რომლებიც ამისგან თავს იცავენ.

## ევოლუციის ზრახვანი

**XX საუკუნის განმავლობაში ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა 2-ჯერ გაიზარდა: 35-დან 70-75 წლამდე. შეიცვალა ჩვენი ბიოლოგიური ასაკიც. XVIII საუკუნეში 40 წლის ადამიანები მოხუცები იყვნენ. შექსპირი წერდა: „როდესაც შენ შუბლს ღრმა ნაოჭებით დასერავს ორმოცი ზამთარი, ვიღას გაახსენდება ახალგაზრდული მოკაზმულობა, რომელიც დაფარულია შენი ძველი ძონძით“. ახლა კი ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია 45 წელს განსაზღვრავს, როგორც ახალგაზრდული ასაკის ზედა ზღვარს.**

ევოლუციამ შექმნა ბიომასა — ყველაფერი ცოცხალი, რაც პლანეტაზეა. მაგრამ ბიომასა უკვე აღარ იზრდება, არაცოცხალიდან ახლა ცოცხალი არ იბადება. სამაგიეროდ ბიომასა იცვლება ხარისხობრივად. ევოლუციამ თავისი ყურადღება ადამიანზე გაამახვილა და Homo sapiens-მა დაიწყო გაზრდა სწრაფი ტემპებით. ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობა დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა რეპროდუქციული ასაკის — 35-40 წლის — ზედა საზღვარზე. მაგრამ უფრო მეტი, რაც უკვე არის, ადამიანის მასის მოცულობა ევოლუციას არ სჭირდება და ჩვენ ცოტა შვილების გაჩენა დავიწყეთ. სამაგიეროდ ევოლუციას სჭირდა ჩვენი ინტელექტი. იგი კი თავის განვითარებას არ ასრულებს 40 წელს, იგი კვლავ ვითარდება 60 წელსაც, 70 წელსაც. ბუნებისათვის მნიშვნელოვანი ჩვენი ინტელექტის საარქივო ნაწილია, რომელიც წლების განმავლობაში გროვდება. შემდეგ იგი ბიოსფეროს საერთო ქვაბში იყრება, ცვლის მას ხარისხობრივად.

მაშადასამდე, ევოლუცია დაინტერესებულია იმით, რომ ადამიანი ცოცხლობდეს დიდხანს. ჩვენი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. ეს იმედს გვაძლევს. და მოდით, ჩვენი მხრიდან დავეხმაროთ მას.

## სხვათა შორის...

**65 წლის იმ ადამიანთა 72 პროცენტმა, რომლებიც მსოფლიოს 12 ქვეყანაში გამოკითხეს, განაცხადა, რომ არ გრძნობს თავს მოხუცად. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი გერმანიაშია — 80 პროცენტი.**

# სიახალგაზრდავის რეცეპტები

რომელი პროდუქტები გვეხმარება, რომ დიდხანს შევინარჩუნოთ ჯანმრთელობა?

**ზეითუნის ზეთი**



იმ უჯერი ცხიმიანი მჟავეების წყარო, რომლებიც სისხლძარღვებს იცავენ ათეროსკლეროზისგან, რაც თავიდან აგვაცილებს კიბოს განვითარებას.



**თევზის ცხიმიანი ჯიშები:**

ორაგული, თინუსი, სკუმბრია... მათში ბევრია ცხიმოვანი მჟავა ომეგა-3, ამაგრებს ძარღვების კედლებს, დაბლა სწევს არტერიულ წნევას, აქვს ანთების საწინააღმდეგო ეფექტი.

**წითელი მშრალი ღვინო**

მასში ბევრია რესვერატროლი, ჰეროპროტექტორი. მეცნიერები გვირჩევენ, ვსვათ იგი რეგულარულად, მაგრამ არაუმეტეს ერთი ბოკალისა დღეში და აუცილებლად ჭამის დროს.



**კაკალი, მზესუმზირა**



ვიტამინები E, C, A, რომლებსაც ისინი შეიცავენ, ძირითადი ოქსიდანტებია, ისინი უპირისპირდებიან თავისუფალ რადიკალებს, რომლებიც ჩვენს უჯრედებს ანგრევენ. კაკალსა და მზესუმზირაში ბევრი სელენია, იგი გვიცავს სიმსივნეების წარმოქმნისაგან. კაკალი და თხილი — მოხუცებულობის გონებასუსტობის კარგი წამალია.

**წითელი და მუქი ხილ-ბოსტნეული**



ისინი შეიცავენ ბიოფლავინოიდებს, რომლებიც გულ-სისხლძარღვთა სისტემას იცავენ.



**კეფირი, იოგურტი, ყველი, ხაჭო**

კალციუმის წყაროებია, რომელიც განვითარების საშუალებას არ აძლევს ოსტეოპოროზს.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# ოთხწლიანი პაუზის შემდეგ ქართველები და აფხაზები ერთმანეთს შეხვდებიან

**მოლაპარაკების ფორმატში რომელიც შეწყდა 4 წლის წინათ სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების დაჟინებული მოთხოვნით, ტრადიციულად მონაწილეობას მიიღებენ ქართული, აფხაზური და რუსული მხარეების წარმომადგენლები, აგრეთვე მეთვალყურეები ევროკავშირიდან და ეუთოდან.**

შეთანხმება გალის შეხვედრების აღდგენის შესახებ მიღწეული იქნა ჟენევაში, სადაც გაიმართა სამხრეთ კავკასიაში უშიშროებისა და სტაბილურობის საერთაშორისო დისკუსიების რიგით 35-ე რაუნდი (დისკუსიებში მონაწილეობას ღებულობენ თბილისის, მოსკოვის აგრეთვე აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებათა წარმომადგენლები და საერთაშორისო მეთვალყურეები). საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ ჟურნალისტებს უამბო, რომ გალის ფორმატის განახლებას წინ უსწრებდა ხანგრძლივი კონსულტაციები და მოლაპარაკებები მხარეებს შორის.

**გალში უნდა განახლდეს რეგულარული შეხვედრები ინციდენტების თავიდან აცილებისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში**

**„ჩვენ მივესალმებით გალის შეხვედრების განახლებას. ეს ფორმატი არ ფუნქციონირებდა 4 წლის განმავლობაში. ესაა მექანიზმი, რომელიც, ასე თუ ისე, ხელს შეუწყობს გარკვეულწილად სტაბილურობის უზრუნველყოფას“,** — ხაზგასმით აღნიშნა მინისტრმა.

მან გამოთქვა იმედი, რომ შეხვედრებს ექნებათ ეფექტი და ისინი გაიმართებიან კონსტრუქციულად.

**შესაძლებელია, მინისტრს უბრალოდ არ უხსენებია „კონსტრუქციულობა“, ჯერ კიდევ 4 წლის წინათ ხომ ოფიციალური თბილისის წარმომადგენლებმა ბრალი დასდეს აფხაზეთის მხარეს მოლაპარაკებათა განზრახ ჩაშლაში. გალის შეხვედრები შეწყდა 2012 წლის აპრილში, როდესაც თვითგამოცხადებული რესპუბლიკის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოლაპარაკებათა ფორმატის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე, საქართველოში ევროკავშირის მეთვალყურეთა მისიის ხელმძღვანელი ანჯეი ტიშკევიჩი პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადა. როგორც მაშინ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა განმარტეს, ტიშკევიჩმა გამოიჩინა გაუფრთხილებლობა და მკვეთრად უპასუხა შეკითხვას გალის რაიონში მკვლელობათა კვლევის ბედის შესახებ. „შეგვიშვით აფხაზეთში და ჩვენ მივხედავთ ჩვენს ცხედრებს“,** — თითქოს თქვა მაშინ ტიშკევიჩმა. მაგრამ თავად სამონიტორინგო მისიის ყოფილმა ხელმძღვანელმა მაინც არ დაადასტურა, რომ წარმოსთქვა ეს ფრაზა.

როგორც არ უნდა იყოს, 4 წლის შემდეგ მხარეებმა მაინც მიიღეს გადაწყვეტილება, განაახლონ შეხვედრები გალში. თანაც დაბრკოლება ტიშკევიჩის სახით, რომელიც უკვე დიდი ხანია, არ მუშაობს საქართველოში, უკვე აღარ არსებობს, მაგრამ ზოგიერთი ქართველი ექსპერტი არ იზიარებს ენთუზიაზმს და ოპტიმიზმსაც კი ოფიციალური თბილისის წარმომადგენლებისა ფორმატის აღდგენასთან დაკავშირებით.

მაგალითად, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქართველოს ატლანტიკური საბჭოს“ აღმასრულებელი დირექტორი, ექსპერტი უშიშროების საკითხებში გიორგი მუჩაიძე მიიჩნევს, რომ გალში მოლაპარაკებათა განახლებამ ძნელად რომ იქონიოს გავლენა მთლიანად სიტუაციაზე. თუმცა, ის თანახმაა, რომ გალის შეხვედრების ფარგლებში, უეჭველია, შესაძლებელი გახდება, გადაიჭრას ზოგიერთი საკითხი, როგორც, მაგალითად, ეს ხდება ერგნეთში სამხრეთი ოსეთის მხარესთან ანალოგიური შეხვედრების ფარგლებში.

**„რასაკვირველია, ასეთი მექანიზმის არსებობა მნიშვნელოვანია. მაგრამ, მოდით, ნუ მოვწყდებით რეალობას. ერთი საქმეა, რაზეა თანახმა რუსეთი და სხვა საქმეა, თუ როგორ ახორციელებს იგი ამ შეთანხმებებს. გულწრფელად თუ ვილაპარაკებთ, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლებები ცოტა რამეს წყვეტენ დამოუკიდებლად. ანალოგიური ფორმატი ფუნქციონირებს ერგნეთში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ ყოველდღიურად ვაწყდებით იმას, თუ როგორ ირღვევა ჩვენი მოქალაქეების უფლებები მათი გატაცებებით, გადამღობი და ფორტიფიცირებული ნაგებობების უკანონო მშენებლობები ჩვენს ტერიტორიაზე“,** — ამბობს მუჩაიძე.

თავის მხრივ, ქართველი ექსპერტი კავკასიის საკითხებში ალეკო კვახაძე მიიჩნევს, რომ მოლაპარაკებები უნდა გაიმართოს, და ასახელებს საკითხებს, რომლებიც საქართველოს ხელმძღვანელობის წარმომადგენლებმა უნდა დააყენონ კონტროლგარეშე არსებული რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლებასთან პირველ შეხვედრებზე.

**„ეს არის იმ ეთნიკური ქართველების უფლებების დაცვა, რომლებიც ცხოვრობენ გალის რაიონში, მათი დაუბრკოლებელი გადაადგილებების უზრუნველყოფა (ადმინისტრაციული საზღვრების გადაკვეთით), ენგურის ხიდზე საკონტროლო-გამტარი პროცედურების გამარტივება, ქართული ენის საკითხი, რომლის სწავლების საათები ადგილობრივ სკოლებში მუდმივად მცირდება. გალის რაიონის სკოლები, არსებითად, უკვე გადაიქცნენ რუსულ სკოლებად, რაც შეიძლება შევაფასოთ, როგორც ასიმილაციის მცდელობა. კრიმინოგენური ვითარება და სხვა საკითხები. თუ ყველაფერი იქნება განხილული, ეს იქნება პოზიტიური ნაბიჯი“,** — ამბობს კვახაძე.

გალში პირველი შეხვედრა მომდევნო თვეში უნდა გაიმართოს. ცნობილია, რომ მხარეებმა უკვე დაიწყეს მომზადება მომავალი მოლაპარაკებებისათვის.

Эхо Кавказа

# ექსპორტი ყველგან იკლებს, მათ შორის – ევროკავშირშიც!

**ევროკავშირში ექსპორტი ვერა და ვერ გაიზარდა. საერთოდაც, ბოლო ერთ წელიწადში ყველა მიმართულებით საექსპორტო კლება გვაქვს. სავალუტო კრიზისმა თავისი სიტყვა აქაც თქვა.**

„საქსტატის“ მონაცემებით, 2016 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2%-ით შემცირდა და 1,413 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვიდან ექსპორტი 281 მლნ აშშ დოლარია, იმპორტი 1,132 მლრდ აშშ დოლარი.

ერთი წლის განმავლობაში ექსპორტი 13%-ით შემცირდა, იმპორტი კი 1%-ით გაიზარდა. საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2016 წლის იანვარ-თებერვალში 852 მლნ აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 60 პროცენტი შეადგინა.

ეს ნიშნავს, რომ სავალუტო კრიზისმა, პირველ რიგში, სწორედ ექსპორტის მიმართულებით გააუარესა ვითარება და საუბარი თითქოს ლარის გაუფასურება ექსპორტს წაახალისებდა, სრული სიცრუე აღმოჩნდა.

ეკონომისტი გიორგი ღაღანიძე მიიჩნევს, რომ საქართველში წარმოების ზრდის გარეშე შეუძლებელია საექსპორტო პოტენციალის გაზრდა. ამ მხრივ კი, ქვეყანაში მატება არ შეინიშნება. ასევე სერიოზული პრობლემაა მთავარი ნედლეული ან ნედლეულთან მიახლოებული სხვა პროდუქტებიც.

განსაკუთრებით რთული ვითარებაა ევროკავშირის მიმართულებით. ამ მხრივ სასურველი შედეგი ღრმა და ყოვლისმომცველმა ხელშეკრულებამაც ვერ მოიტანა. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2016 წლის იანვარ-თებერვალში 532 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 38%-ით მეტია, მაგრამ მთლიანი სავაჭრო ბრუნვიდან ექსპორტი 77 მლნ აშშ დოლარი იყო, ხოლო იმპორტი 454 მლნ აშშ დოლარი. საანგარიშო პერიოდში ექსპორტი 28%-ით არის შემცირებული, იმპორტი კი - 63%-ით გაზრდილი.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 38 პროცენტი შეადგინა, მათ შორის, ექსპორტში 28 პროცენტი და იმპორტში 40 პროცენტი (2015 წლის იანვარ-თებერვალში შესაბამისად 27, 33 და 25 პროცენტი). ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 44 პროცენტი (2015 წლის იანვარ-თებერვალში 22 პროცენტი).

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ამოქმედებიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ ევროკავშირში ექსპორტის კუთხით კლება გვაქვს, ექსპორტის ჯამური ღირებულება კი დსთ-ს სივრცეში ექსპორტს მხოლოდ 3 მილიონი დოლარით აღემატება.

გიორგი ღაღანიძე ამბობს, რომ დასავლეთის ბაზრების ასათვისებლად გაცილებით მეტი მუშაობა გვმართებს.

**„დსთ-ს რაც შეეხება, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით — კულტურული, ტერიტორიული სიახლოვის, მენტალობის და ა.შ. გაცილებით უფრო მარტივია იმიტომ, რომ ეს ბაზრები ჩვენთვის გაცილებით კარგად არის ცნობილი. მარტივია, მაგრამ არა საიმედო, როგორც კი პრობლემა გაჩნდა, უკრაინასა და სომხეთში, აზერბაიჯანსა და რუსეთში ექსპორტი შემცირდა. ეს არის დსთ-ში ჩვენი ძირითადი ბაზრები. ეს ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხდება.**

**სახელმწიფო მიდგომას რაც შეეხება, მესმის სურვილი, რომ ყველას დაეხმარო და რაღაც კარგი გააკეთო, მაგრამ სწორად უნდა გავიგოთ. ჩვენ იმდენი რესურსი არ გვაქვს, რომ ყველაფერზე დავხარჯოთ. რაღაც უნდა განისაზღვროს, როგოც ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და ორიენტირებული უნდა ვიყოთ ისეთი პროდუქტი და მომსახურება შევქმნათ, რომელიც გარეთ გაიყიდება,** — აცხადებს ღაღანიძე.

**ბექა დანელია**

## დედამიწის ზურგზე



### ბრიუსელში პოლიციის რეიდების შემდეგ 7 კაცი დააკავეს – ორი მათგანი სათვალთვალო კამერაში ტერორისტული აქტების დროს მოხვდა

სამი ეჭვმიტანილი დამნაშავე დააკავეს თავიანთ მანქანაში ფედერალური პროკურატურის შენობის წინ. სხვა ორი დააკავეს კომუნჟეტში ჩხრეკის დროს, ერთი ეჭვმიტანილი — ბრიუსელში რეიდის დროს. უკანასკნელი — მეშვიდე — დააკავეს ტყეში დილით ადრე პარასკევს.

* * *

### კიმ ჩენ ინმა მოუწოდა კორეის სახალხო-დემოკრატიულ არმიას სეულზე დარტყმისათვის მოემზადოს

ჩრდილოკორეელმა ლიდერმა აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა უნდა ემზადებოდეს სამხრეთი კორეის დედაქალაქში სამთავრობო შენობათა „დაუნდობელი განადგურებისათვის“. კიმ ჩენ ინის სიტყვებით, არმია უნდა იყოს საბრძოლო სულისკვეთებით აღვსილი და იმყოფებოდეს გაზრდილი სამხედრო მზადყოფნის მდგომარეობაში.

* * *

### „სი-ენ-ენი“: „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკები ევროპაში ახალ ტერორისტულ აქტებს ამზადებენ

ელექტრონული ინფორმაციის ხელში ჩაგდებისა და ინფორმატორების მონაცემები მიუთითებენ იმაზე, რომ ისლამური სახელმწიფოს ბოევიკებმა პარიზის ტერორისტული აქტების შემდეგ განსაზღვრეს რამდენიმე შესაძლო მიზანი შეტევებისთვის ერთ-ერთ ბინაში ჩხრეკის დროს აღმოაჩინეს რუკები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც მიუთითებენ ტერორისტების ახალი შეტაკებების გეგმებზე, იტყობინება ერთ-ერთი წყარო.

* * *

### ჟენევაში დასრულდა სირიელთაშორისი მოლაპარაკებები. შემდეგი შეხვედრა გათვალისწინებულია აპრილისთვის

რაუნდის შედეგების მიხედვით ჩამოყალიბდა არაოფიციალური ჩამონათვალი იმ 12 პუნქტისა, რომლებიც აღწერენ მომავალი სირიის სასურველ პოლიტიკურ მოწყობას. მოლაპარაკებათა ახალი რაუნდი კრიზისის მოწესრიგებისთვის დაგეგმილია აპრილის დასაწყისისთვის.

* * *

### რუსი კოსმონავტი შევიდა იმ 50-ის რიცხვში, რომლებიც ცვლიან ლიდერების სამყაროს „ფორტუნისგან“

ამერიკულმა ჟურნალმა რუსი კოსმონავტი მიხაილ კორნიენკო და მისი პარტნიორი საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე სკოტ კელი შეიყვანა 50 უდიდესი ლიდერის სიაში. რეიტინგს სათავეში უდგას Amazon -ის შემქმნელი ჯეფ ბეზოსი.



# სპორტშიც და ცხოვრებაშიც რაინდი იყო

**ჭიდაობა ბავშვობიდან მიყვარდა. ზაფხულობით მდინარე ტეხურაში ბანაობით გულს რომ ვიჯერებდით, უფროსებისგან შეგულიანებული პატარები სანაპიროზე სახელდახელოდ მოწყობილ ქვიშის სარბიელზე ვეძიძგილავებოდით ერთმანეთს. შემდეგ თავად ჩვენი წამქეზებლების ჯერი დგებოდა.**

„ნამდვილი“ ჭიდაობა პირველად თბილისში ვნახე. ბიძაჩემმა ცირკში წამიყვანა — ბეჭდაუდებელ ფალავნებს გაჩვენებო, მითხრა.

შენობაში ტევა არ იყო. მაყურებლები მოჭიდავეთა თითოეულ ეფექტურ ფანდს სტვენითა და ყიჟინით ხვდებოდნენ. დიქტორმა ხალიჩაზე ახალ წყვილს უხმო. ჩემი ყურადღება ერთ-ერთის გვარმა მიიპყრო. ქორიძეები ჩვენს სოფელშიც ცხოვრობენ, ამიტომ გამიელვა, ვინმე მეზობელი ხომ არ არის-მეთქი. სარბიელზე დაკუნთული, თმახუჭუჭა მოღიმარი უცხო ჭაბუკი გამოვიდა. მსაჯის ნიშანზე იგი უშიშრად ეძგერა მეტოქეს და შავი დღე აყარა — ხან აღმა ატრიალა, ხან — დაღმა. ლეიბთან ახლოს ვიჯექი და კარგად ვხედავდი, ნახევრადმელოტი მოწინააღმდეგე სიმწრის ოფლს როგორ იწმენდდა. „ჩემმა ფალავანმა“ გაიმარჯვა.

## პეტრეს სამჭედლოდან

**მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ბავშვობის მოგონება მკვიდრად შემორჩა მეხსიერებას. ერთხელ გაზეთ „ლელოში“ ავთანდილ ქორიძის სურათს წავაწყდი. ცირკის სარბიელზე ნანახმა ეპიზოდმა გამიელვა თვალწინ...**

ავთანდილ ქორიძეს ჭიდაობა 15 წლისას დაუწყია პეტრე იორდანიშვილის ხელმძღვანელობით „პეტრეს დარბაზში“. პირველი წარმატებისთვის 1953 წელს მიუღწევია — ზაპოროჟიეში ჭაბუკთა საკავშირო პირველობა მოუგია. ახალგაზრდა პერსპექტიულმა მოჭიდავემ სპეციალისტთა ყურადღება, თურმე, სარატოვში 1955 წლის საკავშირო ჩემპიონატზე მიიპყრო. პირველსავე ორთაბრძოლაში ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულ და ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონს ზაპოროჟიელ იაკობ პუნკინს სძლია.

— ვერა და ვერ მოვიგდე ხელთ, — იგონებს ამ შემთხვევას პუნკინი, — ჩაუვლებლად კი რას წავაქცევდი... გავნერვიულდი. გაგიგიათ: მე, ოლიმპიური ჩემპიონი, ვერას გახვდი ახალბედასთან. დავიწყე ქაოსური შეტევები. იგი გაბედულად იცავდა თავს...

ჩემპიონატზე მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა, მაგრამ პუნკინთან გამარჯვება მისთვის ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცა... მერეც არაერთხელ წაუქცევია მას ეს ცნობილი ფალავანი.

პირველი საკავშირო სპარტაკიადისა და საბჭოთა კავშირის 1960 წლის ჩემპიონი მერაბ ღუდუშაური: „მე და ავთომ პირველად 1953 წელს ვიასპარეზეთ ერთად ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე. მას შემდეგ მრავალჯერ გვიგემია გამარჯვების სიტკბოცა და მარცხის სიმწარეც. მახსოვს, 1957 წელს ორივეს მტკიცედ გვჯეროდა, რომ საკავშირო ჩემპიონატიდან ოქროს მედლებით დავბრუნდებოდით. მიზანთანაც ახლოს ვიყავით. ფინალამდე ყველა შეხვედრა მოვიგეთ. მე ლუგანსკელ ევგენი ზუბკოვსკის ვხვდებოდი. ჩემპიონობისთვის ქულებით წაგებაც მყოფნიდა, მაგრამ მეექვსე წუთზე მეტოქის ფანდზე წამოვეგე და სუფთად დავმარცხდი. ავთოსაც არ გაუმართლა, ივან კორშუნოვმა სძლია და, საერთოდ, ავთოს საკავშირო ჩემპიონატებზე ბედი არ სწყალობდა“.

მართლაც, საბჭოთა სპორტის ისტორიაში ავთანდილ ქორიძე, ალბათ, ერთადერთი მოჭიდავეა, რომელმაც ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, მრავალ საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი კი ერთხელაც ვერ გახდა.

„1957 წელს მოსკოვში ახალგაზრდობის მესამე საერთაშორისო მეგობრული თამაშები ტარდებოდა, — მითხრა ერთხელ ბატონმა მერაბმა. — საკავშირო პირველობის პრიზიორები საწვრთნელ-შესარჩევ შეკრებაზე მიგვიწვიეს. ავთომ შეჯიბრებაზე გამოსვლის უფლება მოიპოვა, მე და ჯემალ შენგელია, რომლებიც შინ გამოგვიშვეს, „არალეგალურად“ ავთოსთან დავრჩით, ერთად გვეძინა, თამაშებსაც დავესწარით.

პირველად ჰელსინკის ოლიმპიადის პრიზიორს ფინელ რაუჰალას შეხვდა და დიდი უპირატესობით გაიმარჯვა შემდეგ ხალიჩას გააკრა ავსტრიელი, სირიელი და უნგრელი ფალავნები. ფინალში ბულგარელ ათანას არგიროვს მოუგო და ოქროს მედალი დაიმსახურა.

1958 წლის სეზონიც იღბლიანად დავიწყეთ. მოსკოვში პროფკავშირების საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს „კლასიკოსებმა“ გუნდური პირველი ადგილი დავიკავეთ. პირად პირველობაში მე, ავთომ, გოდერძი ჩიტიაშვილმა და დავით გვანცელაძემ გავიმარჯვეთ. შემდეგ ლვოვში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე გავემგზავრეთ. მე და ავთო ფინალში გავედით, მაგრამ „ვერცხლის“ მიჯნა ვერც ამჯერად გადავლახეთ“...



## რკინის ფრეის წინასწარმეტყველება

**1958 წლის მიწურულს თბილისში საქართველოს „კლასიკოსები“ იმ დროს აღიარებულ შვედ მოჭიდავეებს შეხვდნენ და გამანადგურებელი ანგარიშით — 14:2 სძლიეს. ავთანდილ ქორიძემ „რკინის კაცად“ მონათლული ლონდონის ოლიმპიადის გამარჯვებული და მსოფლიოს ექსჩემპიონი გუსტავ ფრეი დაამარცხა. „დიდი ხანია, არ შევხვედრივარ ასეთ ძლიერ და საინტერესო მოწინააღმდეგეს, — უთქვამს შვედს, — თუ იგი ასე იჭიდავებს, მსოფლიოს ჩემპიონი გახდება“.**

— კარგად მახსოვს ეს ორთაბრძოლა, — იგონებს ოლიმპიური ჩემპიონი დავით ციმაკურიძე, — რადგან იგი მე ვიმსაჯე. ავთომ ჩვეული სტილით შეუტია მეტოქეს, ხან მოგვერდი ჩაუტარა, ხან „მოტაცებულით“ (ეს ილეთი ძალიან უყვარდა) აართვა ქულები, ბოლოს ბეჭებითაც გააკრა ხალიჩას...

რომის ოლიმპიურ თამაშებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩებოდა. საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელები გუნდის წევრობის კანდიდატებს გამოცდილების შესაძენად და მომავალ მეტოქეთა გასაცნობად სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირზე აგზავნიდნენ. 1959 წლის აგვისტოში ავთანდილ ქორიძე, მერაბ ღუდუშაური, იან როოტსი და არმაის საიადოვი იუგოსლავიის ქალაქ სპლიტში „ადრიატიკის თასზე“ გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრნენ. ქორიძემ დამაჯერებლად დაამარცხა რუმინელი გეორგიუ, თურქი რეზა დოგანი, მასპინძელთა კერპი ბრანკო მარტინოვიჩი, ფინალში უნგრელ იმრე პოიაკს მოუგო და თასს დაეუფლა.

1960 წელი ქართველი „კლასიკოსებისთვის“ დიდი გამოცდის წელი იყო. ოლიმპიადაზე გამგზავრებამდე მოჭიდავეებს ჯერ საკავშირო ჩემპიონატში უნდა ესასპარეზათ, აქ შეირჩეოდა ნაკრების კანდიდატები. თბილისში მერაბ ღუდუშაურმა, დავით გვანცელაძემ და როსტომ აბაშიძემ ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვეს. ავთანდილ ქორიძე სარატოვში გამოდიოდა. მან იქაც ფინალური ორთაბრძოლა წააგო მინსკელ ივან კორშუნოვთან და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებმა პოდოლსკში მოიყარეს თავი. საკონტროლო-შესარჩევი შეხვედრების შემდეგ გუნდიც დაკომპლექტდა — ივან კოჩერგინი (52 კგ), ოლეგ კარავაევი (57), მერაბ ღუდუშაური (62), ავთანდილ ქორიძე (67), დავით გვანცელაძე (75), ნიკოლაი ჩუჩალოვი (79), გივი კარტოზია (ქვემძიმე), ივან ბოგდანი (მძიმე) და სათადარიგო როსტომ აბაშიძე.

## ეროვნული შემადგენლობა არ მომწონსო

**— პოდოლსკში საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლაი რომანოვი ჩამოვიდა, — იგონებს მერაბ ღუდუშაური.** — მისი სურვილისამებრ, ნაკრების კანდიდატები კვლავ შეგვაჯიბრეს ერთმანეთს. მე ირკუტსკელი ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ვირუპაევი და მსოფლიო ორგზის ჩემპიონი სტაშკევიჩი დავამარცხე, ავთომ კი კორშუნოვს, როსინსა და ჟიტინიოვს მოუგო. ნაკრების სხვა წევრებმაც დაადასტურეს თავიანთი „შეუვალობა“, მაგრამ, როგორც შემდეგ შევიტყვეთ, მწვრთნელთა საბჭოს სხდომაზე რომანოვს განუცხადებია, გუნდის ეროვნული შემადგენლობა არ მომწონსო, ნაკრებში ხომ ხუთი ქართველი ვირიცხებოდით. საბოლოოდ, რომში ჩემ მაგივრად ვირუპაევი, გვანცელაძის ნაცვლად კი მსოფლიოს ექსჩემპიონი გრიგორი გამარკინი წაიყვანეს...

რომის ოლიმპიური სარბიელი ავთანდილ ქორიძისთვის ფეხბედნიერი გამოდგა. პირველსავე შეხვედრაში მან მასპინძელი დე სილვა დაამარცხა, შემდეგ ამერიკელ ნორდრუპს მოუგო. მესამე წრეში მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონ ლეჰტონენს დაეჭიდა. ფინელმა სპორტსმენმა მსაჯების დახმარებით ორთაბრძოლა ფრედ დაამთავრა. არბიტრებზე გაბრაზებულმა ქართველმა ფალავანმა ჯავრი ბერძენ მონდიზე იყარა — მეხუთე წუთისთვის „ხიდურზე“ გადაიყვანა მეტოქე და წმინდად გაიმარჯვა. ნახევარფინალში ბულგარელ დიმიტარ იანჩევ სტოიანოვს შეხვდა.

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი როსტომ აბაშიძე: „რომში, როგორც სათადარიგოს, არ მიჭიდავია, ამიტომ ვცდილობდი, რაც შემეძლო, ავთოს დავხმარებოდი, თუმცა, იგი ჩემ გარეშეც კარგად ართმევდა თავს საქმეს. ბულგარელ იანჩევთან შერკინება დაიწყო თუ არა, ქართველმა ფალავანმა ზედიზედ რამდენიმე ეფექტური ილეთი ჩაატარა, მაგრამ მსაჯებმა არც ერთი არ შეაფასეს. არბიტრებისგან გულმოცემული ბულგარელი მოჭიდავე ხალიჩიდან გაქცევასაც არ თაკილობდა. ორთაბრძოლა რომ მთავრდებოდა, ქორიძემ მეტოქე ხიდურზე შეაყენა, ცოტა ხნის შემდეგ ძალაგამოცლილი სტოიანოვი ხალიჩაზე გადაწვა. არბიტრებმა ჭიდაობა ფარსად მიიჩნიეს და ორივე ფალავანი მოხსნეს შეჯიბრებიდან. დარბაზში მაყურებლებმა გამაყრუებელი სტვენა და ყვირილი ატეხეს „ქორიძინის“ (ასე მონათლეს იგი იტალიელებმა) დასაცავად.



როცა მსაჯთა კოლეგიასა და ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტთან დავამ შედეგი არ გამოიღო, საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარე რომანოვის მეშვეობით ჩვენების პროტესტმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ბრენდეჯის ყურამდეც მიაღწია. პრეზიდენტი პაექრობას ესწრებოდა და მსაჯთა გადაწყვეტილებით გაკვირვებულმა სააპელაციო ჟიურის დაავალა, კანონიერი დასკვნა გამოეტანათ. დიდი ხნის დავის შემდეგ გამარჯვებულად ქორიძე გამოცხადდა“.

ქართველ ფალავანს ფინალურ ორთაბრძოლაში არ გასჭირვებია იუგოსლავიელი ბრანკო მარტინოვიჩის დამარცხება, რომელსაც ერთი წლის წინათ „ადრიატიკის თასზე“ გამართულ საერთაშორისო ტურნირშიც მოუგო.

ავთანდილ ქორიძე ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

## სამეცადინოდ სახლის სხვენზე ადიოდა

**მერი ქორიძე (ავთოს და): „კლარა ცეტკინის ქუჩაზე ერთ პატარა ოთახში შვიდნი ვცხოვრობდით. ავთო უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებოდა. ხელი რომ არ შეშლოდა, სახლის სხვენზე ადიოდა და იქ მეცადინეობდა. იუგოსლავიის საერთაშორისო შეჯიბრებიდან ახალი დაბრუნებული სხვა ცნობილ სპორტსმენებთან ერთად ვასილ მჟავანაძესთან იყო შეხვედრაზე. ვის რა დახმარება გჭირდებათო, უკითხავს მჟავანაძეს. ავთოს ხმა არ ამოუღია. შეხვედრის შემდეგ გივი კარტოზია შებრუნებულა კაბინეტში და „პირველისთვის“ ავთოს უბინაობა გაუმხელია.**

ასეთი შემთხვევაც მახსენდება: ინსტიტუტში ერთ-ერთ გამოცდაზე ლექტორს უთქვამს, ნიშანს ისე დაგიწერ, შენ მხოლოდ რომის ოლიმპიადაზე მიამბეო. ავთო განაწყენებულა, წყალობა არ მინდა, გამომცადეთო, უპასუხია“.

**როსტომ აბაშიძე:** „ავთომ ბინის მიღებას კინაღამ რომის ოლიმპიადა გადააყოლა. თბილისში საბუთების გაფორმებას დიდხანს მოუნდა და საკავშირო-საწვრთნელ შეკრებაზე ჩამოსვლა დაუგვიანდა. ერთ-ერთ სხდომაზე ნაკრების ხელმძღვანელებმა მისი გუნდიდან გარიცხვა მოინდომეს. მე მათ დაწვრილებით ავუხსენი საქმის ვითარება. ქართველ მოჭიდავეებს ავთოს უპირველესმა მეტოქემ კორშუნოვმაც დაგვიჭირა მხარი: არ შეიძლება, კაცს რომისკენ მიმავალი გზა ასე უსამართლოდ გადავუჭრათო, თქვა. „მასენციოს“ სარბიელზე ავთომ დაამტკიცა, რომ ჩვენ მართლები ვიყავით“.

**მერაბ ღუდუშაური:** „რომში მოპოვებულმა „ოქრომ“ ავთო ვერ შეცვალა. იგი უწინდებურად წყნარი, თავაზიანი და ღიმილიანი დარჩა. ახალბედასავით დარბაზში პირველი მოდიოდა და ბოლო ტოვებდა იქაურობას, ახალი ორთაბრძოლებისთვის მონდომებით ემზადებოდა.

ამ შეჯიბრებებიდან ყველაზე მთავარი მსოფლიოს ჩემპიონატი იყო, რომელიც 1961 წელს იაპონიაში გაიმართა. მაშინდელი პრესის ცნობით, ასპარეზობის დაწყებამდე ჯერ კიდევ ოთხი თვით ადრე ნაკრებში ადგილი უკვე დაჯავშნილი ჰქონდათ ოლიმპიურ ჩემპიონებს: ქორიძეს, კარავაევს და ბოგდანს. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ქართველ ფალავანს მაშინ კავშირში ტოლი არ ჰყავდა.

**მერაბ ღუდუშაური:** „გუნდში მოსახვედრად მელბურნისა და რომის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ვირუპაევი, მსოფლიო თასის მფლობელი სტაშკევიჩი და საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონი ზუბკოვსკი დავამარცხე. მომზადების ბოლო ეტაპი ვლადივოსტოკში გვქონდა. რეჟიმი ვერ დავიცავი და წონაში მოვიმატე.

ჩემი იაპონიაში გამგზავრება სათუო ხდებოდა. ავთო ამას ძალიან განიცდიდა. იგი ზედმეტად იტვირთავდა თავს — მთელი დღეები ჩემთან ერთად ვარჯიშობდა, მაიძულებდა, რაც შეიძლება მალე „დამეგდო“ წონა. ერთ-ერთი ასეთი მომქანცველი მეცადინეობის შემდეგ საწოლზე ვიყავი წამოწოლილი. ოთახში ავთო შემოვიდა, როგორ ხარო, მკითხა. შემთხვევით, მაგიდაზე აბები შენიშნა. სახიდან ღიმილი გაუქრა. ეს რა არისო, მითხრა მკაცრად. აბები აიღო და ფანჯარაში მოისროლა. რა დასამალია, მაშინ დოპინგზე დიდი კონტროლი არ იყო, ამიტომ მწვრთნელები ხანდახან რაღაც სტიმულატორებს გვაძლევდნენ. ავთო ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო, ორგანიზმს ფიტავსო, ამბობდა. ამიტომაც გამიბრაზდა. ამ შემთხვევის შემდეგ აბებს არ გავკარებივარ.“

## სამურაების ოქრო და ჭიშურას ტრაგედია

**იაპონიაში ავთანდილ ქორიძემ თავისი განუმეორებელი ტემპერამენტული ჭიდაობით კვლავ მოხიბლა მაყურებელი. იოკოჰამის უნივერსიტეტის სპორტული დარბაზი ქართველი ფალავნის მიერ ჩატარებული ფანდების კასკადს მქუხარე ოვაციებით ხვდებოდა.** სამი ათასი მაყურებლის თვალწინ პირველივე შეხვედრის პირველსავე წუთზე ხალიჩას ბეჭედით გააკრა ინდონეზიელი ტალივონგსონი, მომდევნო ორთაბრძოლებში დაამარცხა გერმანელი ფრანკე, თავისი მუდმივი მეტოქეები — იუგოსლავიელი მარტინოვიჩი, ამერიკელი ნორდრუპი და საკუთარი სპორტულ ნადავლთა კოლექცია მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლითაც გაამდიდრა.

ეს ასპარეზობა ბოლო აღმოჩნდა. ავთანდილ ქორიძე მას მერე დიდ სარბიელზე აღარ გამოსულა, მწვრთნელად დაიწყო მუშაობა. ბევრი ახალგაზრდა დააკვალიანა. ორი შვილის მამას სამომავლოდ უამრავი გეგმა ჰქონდა. იმ ავბედით დღეს კი მან კიდევ ერთხელ ააფორიაქა ყველა — ახლობლები, მეგობრები, თაყვანისმცემლები, მთელი საქართველო, ამჯერად — საბოლოოდ, თავის განუყრელ მეგობართან, ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორ რომან ძნელაძესთან ერთად ავტოკატასტროფაში დაიღუპა - მდინარე ჭიშურასთან ხევში გადაიჩეხა.

იგი თავის ოცდამეთერთმეტე დაბადების დღეს ვერ მოესწრო.

მას შემდეგ ბევრმა წელმა განვლო, მაგრამ ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონ ავთანდილ ქორიძის საფლავზე ყვავილები არ ჭკნება — ოჯახის წევრები, ახლობლები და მეგობრები არ ივიწყებენ უბადლო ქართველ ფალავანს, სათნოებითა და სიყვარულით აღსავსე ვაჟკაცს.

**ვაჟა დანელია**

# ვადის გაგრძელება ინტერესის გამოსახატავად

**საქართველო**

**შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი** (SRAMP)
კრედიტის/სესხის № არ არის განსაზღვრული
პროექტის №: **P149953**

დავალების სახელწოდება: **4 საგზაო მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობა (განხორციელებული პროექტირება-მშენებლობის კონტრაქტის მეთოდოლოგიით) შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტის ფარგლებში**

კონტრაქტი/RFP #: **SRAMP/CS/QCBS-02**
საიდენტიფიკაციო№: **SRAMP PP, საკონსულტაციო მომსახურება – პუნქტი #1.4**

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტისთვის**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო ფირმებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **„4 საგზაო მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობა (განხორციელებული პროექტირება-მშენებლობის კონტრაქტის მეთოდოლოგიით) შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტის ფარგლებში“.**

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ არის შეზღუდული) შემდეგს: შესაბამისი გამოცდილება საპროექტო ღონისძიებებთან მიმართებაში, ძირითადი პერსონალი კვალიფიკაცია, კორპორატიული პროფილი.

მოკლე სიაში შეყვანის კრიტერიუმებია:
1. ზოგადი გამოცდილება საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტებში;
2. ანალოგიური გამოცდილება:
– გზების სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობის კონტრაქტები წარმატებით დასრულებული 2006 წელს ან მას შემდეგ;
– დეტალური პროექტის მომზადება ან პროექტის გადახედვა (შესრულებული ზედამხედველობის კონტრაქტის ფარგლებში ან როგორც ცალკე კონტრაქტი) გზების სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების კონტრაქტებისთვის წარმატებით დასრულებული 2006 წელს ან მას შემდეგ;

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 30 თვე ამას დამატებული 24 თვე დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუცქიისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]“ (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში, „კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით შეუძლიათ გაერთიანდნენ სხვა ფირმებთან ერთობლივი საწარმოს ან ქვე-კონსულტანტის სახით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:

http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება კონსულტანტის კვალიფიკაციისა და ღირებულების შერჩევის მეთოდით დროზე დაფუძნებული კონტრაქტისთვის მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტის შერჩევა და დაქირავება (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში).

ინტერესის გამოხატვის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2016 წლის 1 აპრილის, 17:00 საათისა.**

სახელი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო

ელ.ფოსტა: info@georoad.ge
ვებ–გვერდი: www.georoad.ge

# Extension of Period for Expressions of Interest

**Georgia**

**Secondary Road Asset Management Project (SRAMP)**
**Credit/Loan No:** TBD
**Project No.** P149953

**Assignment Title: SUPERVISION OF REHABILITATION OF 4 ROAD SECTIONS (UNDER DESIGN-AND-BUILD CONTRACTING METHODOLOGY) UNDER SECONDARY ROAD ASSET MANAGEMENT PROJECT**

**Contract/RFP No:** SRAMP/CS/QCBS-02
**Reference No.** SRAMP PP, Consultant Service - Item No.1.4

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Secondary Road Asset Management Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultants to express their interest in providing the following services:" **SUPERVISION OF REHABILITATION OF 4 ROAD SECTIONS (UNDER DESIGN-AND-BUILD CONTRACTING METHODOLOGY) UNDER SECONDARY ROAD ASSET MANAGEMENT PROJECT".**

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile.

**The Shortlisting Criteria are:**

1. General experience in Road Infrastructure projects;
2. Similar experience in:
- Supervision of road construction/rehabilitation contracts Successfully Completed in or after 2006;
- Preparation of Detailed Design or Design Review (completed as a part of Supervision assignment or as a separate Contract) for road construction/rehabilitation Contracts Successfully Completed in or after 2006;

**Estimated duration of assignment is 30 months** plus 24 months of Defects Liability Period.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011 Revised July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (***Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association*** ) to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on w on the following link:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

The Consultant will be selected under **Quality and Cost-based Selection method** for a **Time Based** contract set out in the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011 Revised July 2014 ("Consultant Guidelines").

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **April 1, 2016, 17:00 hours.** In case of submission in hard copy format, it should be accompanied by relevant Electronic Copy of the EOI.

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Division of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

## „მოხატე უსაფრთხოება“

**დიდუბის რაიონში, ბელიაშვილის ქუჩაზე, პირველი ზებრა გადასასვლელი მოიხატა. მერიის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კამპანიას „შენი გულისთვის, შენი უსაფრთხოებისთვის“, დიდუბის რაიონის გამგეობა შეუერთდა პროექტით „მოხატე უსაფრთხოება“.**
**თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და ილიას უნივერსიტეტის სტუდენტებმა ქვეითთა გადასასვლელი მოხატეს. იმისათვის, რომ სატრანსპორტო მოძრაობა არ შეფერხებულიყო, ბელიაშვილის ქუჩა ღამით ნაწილობრივ გადაიკეტა. აღნიშნული კამპანია მიზნად ისახავს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას საგზაო უსაფრთხოების საკითხებში.**

## კორპუსის ნაცვლად – სკვერი

**კომპანია „სანპეტროლიუმ ჯორჯია“ საბურთალოს რაიონში ახალ სკვერს მოაწყობს. „სანპეტროლიუმ ჯორჯია“ პირველია იმ კომპანიებს შორის, რომელმაც სურვილი გამოთქვა თავისი წვლილი შეეტანა თბილისში არსებული მწვანე ზონების გამწვანებისა და კეთილმოწყობის პროცესში. მერიის ინფორმაციით, მემორანდუმს, რომელიც ბიზნესკომპანიის მიერ ალ. ყაზბეგის №27-თან არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობას ითვალისწინებს, საბურთალოს რაიონის გამგებელმა ბექა მიქაუტაძემ და კომპანია „სანპეტროლიუმ ჯორჯიას“ მარკეტინგის ვიცე-პრეზიდენტმა ნინო ჯიბლაძემ მოაწერეს ხელი. ღონისძიებაზე პროექტის სამუშაო ვერსიის ჩვენებაც გაიმართა.**

## მცენარეები როგორც ცოცხლობდნენ A წერტილში, ისევე იცოცხლებენ B წერტილში,,

**„ჭიქაში ქარიშხლის დატრიალების„ მცდელობას უწოდებს გარემოს დაცვის მინისტრი ციხისძირიდან ასწლოვანი ხეების გადატანასთან დაკავშირებულ მოვლენებს. როგორც გიგლა აგულაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა ამ თემით პოლიტიკური ძალები ქულების დაწერას ცდილობენ, ხოლო რაც შეეხება ოპოზიციის მოსაზრებას, რომ ასწლოვანი ხეების გადატანა ივანიშვილის „პირადი ახირებაა“, აგულაშვილი აცხადებს, რომ მცენარეები ცოცხლობენ როგორც A წერტილში, ისე B წერტილში“, ბიძინა ივანიშვილი შავი ზღვის სანაპიროზე ულამეზეს ტყეპარკს და კულტურულ კომპლექსს ჰქმნის.**

ეს მცენარეები არცერთი არ არის ენდემი, არცერთი არ არის წითელი ნუსხის მცენარე, ერთი არის ჭაობის კიპარისი და ასევე არის ხე ტიტა. ახლა გადატანა გულისხმობს A წერტილიდან მცენარის B წერტილში გადატანას. თუ კითხვები ისმება იმაზე, რომ არის თუ არა სათანადო ცოდნა და უნარები გადატანისთვისაც და იმისთვისაც, რომ არ გახმეს, მზად ვარ, ვისაუბრო სპეციალისტების თანდასწრებით. ხოლო თუ საუბარია, რომ ხე საერთოდ არ უნდა იქნას გადატანილი ერთი წერტილიდან მეორეში, ვფიქრობ, ეს ლეგიტიმური და სწორი პოზიცია არ არის





## ჯვრის მონასტრის კედლების დააზიანეს

**შინაგან საქმეთა სამინისტრომ მცხეთაში, ჯვრის მონასტრის კედლების დაზიანების ფაქტზე საქმე აღძრა. როგორც მედიანიუსს შსს-ში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მეორე პრიმა მუხლის მე-3 ნაწილით დაიწყო, რაც კულტურული მემკვიდრეობის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.**

**მონასტრის კედლებზე წარწერების ამსახველი ფოტო სოციალურ ქსელში გავრცელდა.**

## დიდმარხვის მეორე კვირიაკე

**27 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია აღასრულებს იმ კრების ხსენებას, რომელიც კიევის ქვაბთა შინა დავანებულებს ეხებოდათ.**

**დღესვე არის ხსენება წმიდა გრიგოლი პალამასი, თესალონიკელი მთავარეპისკოპოსისა. ...წმიდა გრიგოლი პალამამ ოცი წლის ასაკში ვატოპედის მონასტერში დაიწყო მოღვაწეობა. მისი მოღვაწეობა ისეთი წმინდანების რანგში გადის, როგორიცაა წმინდა ბასილი დიდი, იოანე ოქროპირი, ათანასე დიდი და სხვა სწავლულები.**

**შემთხვევითი არ არის დიდმარხვის მეორე კვირიაკეს გრიგოლი პალამას ხსენება, კი ჩანს ბრძანებს მარხვაზეის: „როგორც მუცელს დამონებული სპობს ყველა სათნოებას და სხვადასხვაგვარი ვნების მონა ხდება, ასევე ნაყროვანების სიბილწისაგან განწმენდილი თავშეკავებაც შობს ჩვენში ვნებათაგან თავისუფლებას“. საგულისხმოა ისიც, რომ გრიგოლი პალამას ლოცვით აყვავებულა თურმე სილამაზით ცნობილი ათონის მთა.**

**გიული ლიპარტია**

**ქართულმა თეატრმა დიდი დანაკლისი განიცადა. წავიდა ამქვეყნიდან ცნობილი თეატრმცოდნე, პროფესორი ვასილ კიკნაძე. ბატონი ვასო მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსთაველის თეატრთან. აკაკი ხორავამ ინსტიტუტიდან მოიყვანა სულ ახალგაზრდა ყმაწვილი და სალიტერატურო ნაწილის ხელმძღვანელობა დაავალა. თითქმის ათი წელი მუშაობდა იგი რუსთაველის თეატრში და მთელი კოლექტივის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს ახლაც.**

**რუსთაველის თეატრი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონი**

**ვასილ კიკნაძის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.**

**ვაკის პარკის ბილიკის მეგობრები გულითად სამძიმარს უცხადებენ გია თორდიას, ძვირფასი დედის, ქალბატონ**

**ლამარა მახარაძის**

**გარდაცვალების გამო.**

**გიორგი კეკელიძე და ირინა თხლავა, ნოდარ კეკელიძე, როზა არჩვაძე, ნატა, თამრიკო, ნინო ჩიხლაძეები, ბიძინა სონღულაშვილი გიორგი ბოკუჩავა, კლაუს უკილაძე ოჯახებით და საქართველოს მეტრომშენებლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ირინა ვიქტორის ასული გოცირიძე**

**პანაშვიდი 26 III, 16 საათზე, გამოსვენება 27 III, 14 საათზე. მისამართი ნ. რამიშვილის №2.**

## ნინოწმინდის სოფლების – ფოკისა და განძის მოსახლეობა ბუნებრივ აირს მიიღებს

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფლების – ფოკისა და განძის მოსახლეობა ბუნებრივ აირს მიიღებს. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ისაუბრა.

**„ეს გულისხმობს 600 ოჯახის ბუნებრივი აირით დაკმაყოფილებას. ამ სოფლებში არის ძალიან მძიმე კლიმატური პირობები და ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი შეღავათი ადგილობრივი მოსახლეობისთვის. დღეს ჩვენ განვიხილავთ მთავრობის ამ ინიციატივისთვის შესაბამისი საბიუჯეტო სახსრების გამოყოფის საკითხს,“** – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

საქმე №1/19-2016

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

**საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

ქ. თბილისი 24 მარტი 2016 წელი

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

**საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“**

**საარბიტრაჟო მოპასუხე: მიხეილ კუხალაშვილი, რომან დავითაშვილი**

**დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2016 წლის 7 მარტს წარმოებაში იქნა მიღებული შპს ,,ნოვა კრედიტი’’-ს სარჩელი მოპასუხე მიხეილ კუხალეიშვილისა და რომან დავითაშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2014 წლის 5 აგვისტოს შპს ,,ნოვა კრედიტსა’’ და მიხეილ კუხალეიშვილს შორის დაიდო №081413523 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს ,,ნოვა კრედიტმა’’ მსესხებელზე გასცა 1250 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 6 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3 პროცენტი ყოველ ვადაგადაციელბულ დღეზე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის რომან დავითაშვილის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: მიცუბისი პაჯერო იო; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2001; ტიპი: მაღალი გამავლობის; ფერი: რუხი 1/8; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №H72W5200113; ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა: AL2694370; სარეგისტრაციო ნომერი: QRR732.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე რომან დავითაშვილს ორჯერ გაეგზავნა მოსარჩელე მხარისათვის ცნობილ მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ყოფნის გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე რომან დავითაშვილს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე რომან დავითაშვილი მოსარჩელისათვის ცნობილ (მის მიერ მინდობილობაში მითითებული ადგილის მიხედვით) მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი სხვა ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე რომან დავითაშვილს (პასპორტი №11012441) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს ,,ნოვა კრედიტი’’-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. რომან დავითაშვილს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოაუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე რომან დავითაშვილს ეცნობოს, რომ 2016 წლის 22 აპრილს 11:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს ,,ნოვა კრედიტი’’-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით მიხეილ კუხალეიშვილისა და რომან დავითაშვილის მიმართ.

5. რომან დავითაშვილს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკა’’-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

## ცხოვრების წვრილმანები

# „რკინისებრი არგუმენტები" ფეხით მოსიარულეთა დასაცავად

**იმის გასაგებად, თუ როგორ ცხოვრობდა უწინდელ დროში მსოფლიოს ესა თუ ის ქალაქი, რას საქმიანობდნენ და რით სულდგმულობდნენ მათი მოქალაქეები, რა იყო სასახლეებისა თუ სახლების ფასადებს მიღმა და კიდევ ბევრი სხვა უაღრესად საინტერესო ისტორიული ცნობის შეტყობა დღესდღეობით იმითაც შეიძლება, თუკი საფეხმავლო ზონების შემომსაზღვრელ საგზაო სვეტებს დავაკვირდებით.**

ეს თემა ჩვენი დედაქალაქისთვის ახლა, როცა „ძველი თბილისის აღორძინების" პროექტის ფარგლებში საფეხმავლო ზონების მოწყობა იგეგმება, უაღრესად აქტუალურია, და, ვფიქრობთ, საგულისხმოა როგორც თავად არქიტექტორთათვის, ასევე მუნიციპალური ორგანიზაციებისთვისაც.

საფეხმავლო ზონების დამცავი პირველი მოწყობილობები რომის იმპერიაში გაჩნდა. მაშინ შექმნეს გზების სავალი ნაწილებისა და ტროტუარების მოწყობის პირველი ტიპური პროექტები, გათვალისწინებული იყო ეტლების ბორბლების ამრიდი ტროტუარების ბორდიურები, ასევე საგანგებო „ჩამკეტი" ტუმბოების დადგმა. დროთა განმავლობაში ურბანული მოწყობის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ელემენტები სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა, მერე და მერე მძიმე ურმები და მსუბუქი ეტლები ქუჩებში ავტომანქანებმა და საქალაქო ტრანსპორტმა შეცვალა, მაგრამ დამცავი ტუმბოები და სვეტები ძველებურად ამშვენებს მრავალი ქალაქის ქუჩებს.



### 1. პიზა, იტალია.

სვეტი კოლონას ჰგავს და ორნამენტითაა გაწყობილი – ესაა აკანტის (დათვიტორას) ფოთლები. ეს მცენარე ტრიუმფისა და ცხოვრებისეულ სიძნელეთა გადალახვის სიმბოლოდ იყო მიჩნეული.

### 2. ლონდონი, დიდი ბრიტანეთი.

ქალაქის ძველ ნაწილში საგზაო სვეტები საქმიანი ცენტრის – სითის გერბითაა დამშვენებული.

### 3. სტრასბურგი, საფრანგეთი.

შუქურის მსგავსი ფორმის მქონე სვეტი ქალაქის არხებით დასერილ უბანშია, სადაც უწინ მებადურები და მენავეები სახლობდნენ.

### 4. სტოკჰოლმი, შვედეთი.

ცხოველთა მეფის გამოსახულება კეტავს „დედოფლის ქუჩის" შესასვლელს. სამეფო სასახლის წინ მდგარი ლომი – შვედეთის დედაქალაქის არაოფიციალური სიმბოლოა.

### 5. პრაღა, ჩეხეთი.

ქანდაკი სვეტები პრაღის სამუსიკო ხელოვნების აკადემიის წინ დგას. რკინის ნიღაბი მისი სასწავლო თეატრის სიმბოლოა.

### 6. ტარაგონა, ესპანეთი

სვეტები მას შემდეგ გაჩნდა, რაც ქალაქის ერთი ქუჩის მცხოვრებლებმა სასამართლოში საქმე... მერიას მოუგეს. ამბავი ის იყო, რომ გაჩერებული მანქანები ამ ქუჩაზე მოძრაობას აფერხებდნენ, ამიტომაც მათი გაჩერება აკრძალეს. მას შემდეგ მოქალაქეები ამ დღეს ყოველწლიურად აღნიშნავენ –ქუჩაში სუფრებს შლიან, მუსიკოსებს იწვევენ და სვეტებს ხელახლა ღებავენ.

### 7. სან-სადური, ესპანეთი

კატალონიაში მეღვინეობით განთქმული ოლქის პენედესის ამ პატარა ქალაქში შუშხუნა ღვინოების 95 პროცენტს აწარმოებენ. ქუჩების საფეხმავლო ზონებს კი შუშხუნა ღვინის ბოთლის საცობის ფორმის მქონე სვეტები იცავენ.

### 8. კორკი, ირლანდია.

ტროტუარში ზარბაზნის ლულაა ჩადგმული. მე-16 საუკუნეში ამ ოლქში ქვემეხებს ასხამდნენ, ქალაქის მახლობლად კი, დაბა ბალინკოლიგში დენთის სამეფო ქარხანა იყო.

### 9. რიგა, ლატვია

ძველ ქალაქში ლომისთავიანი ტუმბოები დგას. ლომის თავის გამოსახულება ქალაქის გერბზე 1330 წელს გაჩნდა და მოქალაქეთა მამაცობას განასახიერებს.

# ერიდეთ ზღვისგან გამორიყულ დელფინებს

**გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობისა და შავი ზღვის მონიტორინგის სამსახურის მიერ, მიმდინარე წლის მარტში, შავი ზღვის სანაპიროზე ზღვის ძუძუმწოვრების (დელფინების) გამორიყვის ფაქტები დაფიქსირდა, რაც შესაძლოა, განპირობებული იყოს დელფინთა მორბილვირუსული ინფექციით. ამის შესახებ გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადებაშია ნათქვამი.**

**გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობისა და შავი ზღვის მონიტორინგის სამსახური მოუწოდებს ადგილობრივ მოსახლეობას, გამოიჩინონ სიფრთხილე და არ შეეხონ ნაპირზე გამორიყულ ზღვის ძუძუმწოვრებს.**



**აღნიშნულთან დაკავშირებით სააგენტოს სპეციალისტები კვლევებს აწარმოებენ. ამჟამად, განმუხური-სარფის მონაკვეთზე ზღვის ძუძუმწოვრების ნაპირზე გამორიყვის 19 ფაქტი დაფიქსირდა.**

# ირაკლი ოქრუაშვილი: გორში სტალინის ძეგლი უნდა იდგეს!

გორის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი ირაკლი ოქრუაშვილი გორში სტალინის ძეგლის დაბრუნებას არ გამორიცხავს. განცხადება ამის შესახებ ოქრუაშვილმა გადაცემა 20/30-ში გააკეთა.

**„სტალინის აპოლოგეტი არ ვარ. მე მისი ძეგლის არც აღების მომხრე ვიყავი და არც დადგმის მომხრე ვარ. მე ვარ გორელების ინტერესების მომხრე. თუ ძეგლის დადგმა ადგილობრივი გავლენიანი მამების მიერ მხარდაჭერილი 200-300 ადამიანის კაპრიზია, მომხრე არ ვიქნები, მაგრამ თუ ქალაქის აბსოლუტურ უმრავლესობას მიაჩნია, რომ ქალაქში სტალინის ძეგლი უნდა იდგეს, შესაძლებელია – დაიდგას. ამომრჩეველს დავპირდით, რომ თუ ქალაქის ხელისუფლებაში მოვიდოდით, ძეგლს დავაბრუნებდით, მაგრამ ჩვენ ვერ გავიმარჯვეთ. მიღებული შედეგი ქალაქის უმრავლესობის ნების გამოვლენის საუკეთესო ტესტი იყო. ამიტომ, ქალაქის უმრავლესობამ პასუხი გამარჯვებულებს უნდა მოსთხოვოს, რომლებიც ძეგლის დადგმას სანახევროდ ჰპირდებოდნენ",** – განაცხადა ორუაშვილმა 20/30-ში.



## ცინცხალი ანეკდოტები

**– ქალიშვილო, შემთხვევით სიგარეტი ხომ არა გაქვთ?**

**– ჭაბუკო, სხვათა შორის, მე, მოსაწევთან ერთად, დასალევიც მაქვს, მისატანებელიც და საძინებელიც.**

* * *

**– ძვირფასო, გუშინ შენ გამოკვებე ჩვენი ძაღლი? – ეკითხება ცოლი ქმარს.**

**– კი.**

**– ჰოდა, შენვე დამარხე.**

* * *

**– შენი კატისა გშურს ხოლმე?**

**– ზოგჯერ კი.**

**– მაინც როდის?**

**– ხელფასის აღებისას. იგი კატას მთელი წელი ეყოფოდა.**

* * *

**– მიხო, ორი მაგალითი მაინც მოიყვანე იმის საჩვენებლად, თუ როგორ ანადგურებს ალკოჰოლი ორგანიზმს.**

**– კარგით რა, კვლავ მოვიყვანო მშობლები სკოლაში?**

* * *



**– რას უწოდებდით საკუთარ თავს, თუ გაიგებდით, რომ ქმარი გღალატობთ?**

**– ქვრივს.**


**გამოიწერეთ:**
**6 თვით – 60 ლარი,**
**1 წლით – 120 ლარი.**
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე" – 2143906; „ელვასერვისი" – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე" – 2 988 990; „პრესა-2012" – 2341140; „ოლიმპი" – 599 15 19 69; „პრესა+" – 551555444; „ჯეომედია" – 593 977 888.
ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი 66434

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოზულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში"
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22) ს—323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


გმადლობთ, რომ კითხულობთ ძველ და სანდო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას"!